1932

ეროვნული ბიბლიოთეკა

# დროშა



**11**

ფართე გზა საკოლმეურნეო ვაჭრობას

კოლმეურნე და ინდივ. გლეხები თბილისის ბაზარზე

ფასი 15

# უცხოეთის ფოტო-ქრონიკა

## ბრძოლა პატიმართა დასაცავად

საერთაშორისო პროლეტარიატი ერთსულოვნად ებრძვის ამერიკის კლასობრივი იუსტიციის გმძაფრებულ შემოტევას. ამას წინად „დემოკრატიული“ ამერიკის „მართლმსაჯულების“ წარმომადგენლებმა ცრუ მოწმეების მტკიცებით, სიკვდილით დასჯის განაჩენი გამოუტანეს 7 ახალგაზრდა ზანგს თეთრკანიანი ქალის „გაუ-




პატიურების გამო“. ამ ამბავმა უდიდესი მღელვარება გამოიწვია ამერიკის პროლეტარიატის ფართე მასებში, ეს საზიზღარი განაჩენი სისრულეში უნდა მოეყვანათ 24 ივნისს, მაგრამ მასიური დემონსტრაცია-მიტინგებით შეშინებულმა „დემოკრატიის მშვიდობიანობის“ ერთგულმა ლაქიებმა ის გადასდვეს განუსაზღვრელი ვადით.

ამავე განაჩენის საპროტესტოდ რემედასის ამერიკის სექციის თაოსნობით ცალკე მოეწყო საპროტესტო დემონსტრაციები,



როგორც ნიუ-იორკში, ისე ამერიკის სხვა ქალაქებშიაც, გერმანიასა და სხვ.

**სურათზე:** საპროტესტო დემონსტრაცია— ნიუ-იორკში.

## ფორდის „მიღწევა“

მთელ რიგ კაპიტალისტურ ქვეყნებში დღითი-დღე მწვავე ხასიათს ღებულობს ეკონომიური კრიზისი, იზრდება უმუშევრობა და პროლეტარიატი ებმება კლასობრივი ბრძოლის ფერხულში. ამას წინად უმუშევართა „მშიერი ლაშქრობის“ დროს



დეტროიტში ფორდის უმუშევარ მშიერ მუშებს ტყვიითა და შხამიანი გაზით გაუმასპინძლდენ პოლიციელები. მოხდა სისხლის მღვრელი შეტაკება, რის დროსაც მრავალი მუშა იქნა მოკლული.

**სურათზე** ერთ-ერთი მოკლულ უმუშევარის გვამი.

## გაურბიან უმუშევრობასა და სიმშილობას

უმუშევრობისაგან გამოწვეულ სიმშილის გამო ამერიკას გაურბის მშრომელი მოსახლეობა.



სიმშილის მოახლოვების შიშით გადახვეწილთა ოჯახების საუკეთესო ნიმუშს წარმოადგენს ჩვენი ფოტო. მუშა **ხიატი** ცოლშვილით გაიქცა სანსანატიდან (ოგაიო). მან ცოლით და პატარა ბავშით იუნიონტაუმდე 3.400 ვერსის მეტი წილი გაიარა ფეხით, დანარჩენი მანძილი საბარგო მატარებლით.

**სურათზე:** უმუშევარი ხიატი ცოლით და ბავშით.

## ბულგარეთში მძვინვარებს თეთრი ტერორი

საერთაშორისო ფაშიზმის ისტორიაში განსაკუთრებული ადგილი უჭირავს ბულგარეთის ფაშისტების საქმიანობას. ბულგარეთის მუშათა კლასისა და მშრომელი



გლეხკაცობის ეს დაუძინებელი სისხლიანი ჯალათები დათარეშობენ მთელს მხარეში და განუკითხვად არბევენ რევოლიუციისათვის მებრძოლთ.

**სურათზე:**—ფაშისტების ბრბო რევოლიუციონერ მუშებისა და გლეხების დარბევის შემდეგ ქ. ნევროკოში.

## ბინების დამქირავებელთა გაფიცვა ნიუ-იორკში

სრულიად გაღატაკებულ ამერიკელ მოქალაქეებს არა აქვთ საშვალება გადაიხა-




დონ სახლის მეპატრონეთა მიერ დაწესებული აუტანელი ქირა. ამ ნიადაგზე ამას წინად ნიუ-იორკში ადგილი ჰქონდა ბინების დამქირავებელთა გაფიცვას; გაფიცულები მოითხოვდენ ბინების ქირის დაკლებას.

**სურათზე**—გაფიცულთა პიკეტები ქუჩებში.

ეროვნული ბიბლიოთეკა

## ჩრდილოეთ - ამერიკის საზღვაო ფლოტის მანევრები წყნარ ოკეანეში

ამ რამდენიმე ხნის წინად ჩრ.-ამერიკის სამხედრო საზღვაო ფლოტმა უდიდე-



სი მანევრები ჩაატარა სან-პედროში და დაბრუნდა სან-ფრანცისკოში.

**სურათზე:** სამხედრო გემების დაბრუნება სან-ფრანცისკოში.

## „გზა მიეცით პოლიტიკურ ტერორს“

აი, სანამდე მივიდა ევროპის დემოკრატიულ-ბურჟუაზიული სახელმწიფოების მმართველთა ცინიზმი. უმუშევრობისა და ეკონომიური კრიზისით გამოწვეულ მშრომელ მოსახლეობის მღელვარების „დასაწყნარებლად“ ერთი - ორად აძ-



ლიერებენ ხარჯებს პოლიციის საჭიროებისათვის, რათა დაჩქარებით მოამზადონ „მშვიდობიანობის“ ერთგულ დამცველთა ახალი კადრები—პოლიციის აგენტები.

**სურათზე**—მადრიდის პოლიციის შეფი, **არტურო გენედეცი** წვრთნის პოლიციის ახალ კადრებს.



ამას წინად საბჭოთა კავშირში ჩამოვიდა გეჯას-ნეჯას მთავრობის დელეგაცია.

**სურათზე:**—გეჯას-ნეჯას საგარეო საქმეთა მინისტრი, პრინცი ფეისალი.

# ფართედ გავშალოთ საკოლმეურნეო ვაჭრობა

ახალი ეკონომიური პოლიტიკის სხვადასხვა ეტაპებზე, პარტია სახავდა და ატარებდა გარკვეულ გეგმიან ღონისძიებებს, რომელთა მიზანი იყო მუშათა მომარაგების შემდგომი გაუმჯობესება, საქონლის ბრუნვაში კერძო სექტორის შეზღუდვა და შევიწროება, სახელმწიფო სავაჭრო და კოოპერატიული ორგანიზაციების განმტკიცება, ამ ბრუნვაში მათი ხვედრითი წონის გადიდება და საერთოდ, მშრომელთა საარსებო დონის ამაღლება. ამ ღონისძიებათა შორის, მეტად მნიშვნელოვანი ადგილი უჭირავს საკ. კ.პ. (ბ) ცეკას, საკ. სახკომსაბჭოს და „ცენტროსოიუზი"-ს გასული წლის 12 მაისის ცნობილ მომართვას, რომლითაც ჩვენი ქვეყნის სავაჭრო კოოპერატიული ორგანიზაციების მუშაობაში დაიწყო სრულიად ახალი ეტაპი. 12 მაისის დადგენილების გამოტანის დროს პარტია გამოდიოდა ჩვენს ქვეყანაში საქონლის ბრუნვის დაჩქარების და საბჭოთა ვაჭრობის გაშლის ინტერესებიდან და ხაზს უსვამდა სავაჭრო ქსელის მაქსიმალურად გაშლის საჭიროებას. 12 მაისის მომართვაში ცენტრალური კომიტეტი აღნიშნავდა, რომ:

„სამომხმარებლო კოოპერაციამ, რომელმაც განდევნა კერძო ვაჭარი და ბაზარზე მონოპოლიური მდგომარეობა დაიპყრო, გვერდი აუარა სამეურნეო ანგარიშის პრინციპს და საბჭოთა ვაჭრობის გაშლის ამოცანას იმ შემცდარი მოსაზრებით, რომ თითქო უკვე მომწიფდა პირობები პროდუქტების პირდაპირ გაცვლაზე უშუალო გადასვლისათვის. ამასთან სამომხმარებლო კოოპერაციას დაავიწყდა, რომ **ვაჭრობიდან კერძო ვაჭრის განდევნა ჯერ კიდევ არ ნიშნავს ყოველგვარი ვაჭრობის მოსპობას. რომ პირიქით. კერძო ვაჭრობის განდევნა გულისხმობს საბჭოთა ვაჭრობის ყოველნაირად განვითარებას** და კოოპერატიული და სახელმწიფო სავაჭრო ორგანიზაციების ქსელის გაშლას მთელს საბჭოთა კავშირში".

ამგვარად, 12 მაისის მომართვაში პარტიამ ერთხელ კიდევ გაუსვა ხაზი კერძო ვაჭრობის განდევნასთან ერთად, საბჭოთა ვაჭრობის ყოველნაირად განვითარების უდიდეს აუცილებლობას, გამოამჟღავნა ამ საკითხში მემარჯვენე-ბურჟუაზიული გადამახინჯებისი ფაქტები და დასახა ღონისძიებანი სახელმწიფო და კოოპერატიული ვაჭრობის ქსელის შემდგომი გაშლისათვის ჩვენს ქვეყანაში.

საქონლის ბრუნვის ზრდა და დაჩქარება, გამოიწვია საბჭოთა ვაჭრობის მატერიალური ბაზის გადიდებამ და განმტკიცებამ. საქმე იმაშია, რომ ჩვენმა სოციალისტურმა მრეწველობამ ბევრად გაადიდა თავისი პროდუქცია და კერძოდ ფართო მოხმარების საგნების წარმოება. მძიმე მრეწველობის საკმაოდ განვითარების შემდეგ, პარტიამ ამხ. სტალინის ხელმძღვანელობით მტკიცედ მოკიდა ხელი მსუბუქი მრეწველობის გაშლას. მძიმე მრეწველობის ჩქარი ტემპებით განვითარებასთან ერთად, მსუბუქი მრეწველობის წინ წამოწევა და მისი სწრაფი განვითარება ასეთი იყო ამხ. სტალინის მიერ მე-16 საკ. პარტყრილობაზე წამოყენებული ამოცანა, რომლის რეალიზაციისათვის პარტიამ დღემდე ძალიან ბევრი გააკეთა.

ამასთან ერთად, ჩვენ გადამწყვეტი მნიშვნელობის გამარჯვება მოვიპოვეთ სოფლის მეურნეობის სოციალისტური რეკონსტრუქციის დარგში. საბჭოთა კავშირის მშრომელი გლეხობის 61 ნახ. პროცენტზე მეტი გაერთიანდა კოლმეურნეობებში. ხორბლეულის ძირითად რაიონებში დამთავრდა მთლიანი კოლექტივიზაციის და მის საფუძველზე კულაკობის როგორც კლასის ლიკვიდაციის პროცესი. სამანქანო-სატრაქტორო სადგურები გადაიქცენ წვრილი და ქუცმაცებული მიწადმოქმედების სოციალისტური რეკონსტრუქციის მძლავრ ბერკეტად. განმტკიცდენ და გაიზარდენ საბჭ. მეურნეობები, რომლებმაც ერთიორად გაადიდეს თავიანთი წარმოება და ფართოდ შემოიღეს უახლესი მანქანური ტეხნიკა, გადიდდა კოლმეურნეობათა და საბჭოთა მეურნეობების სასაქონლო პროდუქცია და „დიადი გარდატეხის წლის" დასასრულს, შეიქმნა ყველა პირობები იმისათვის, რომ კულაკური წარმოება შეგვეცვალა საბჭოთა და კოლექტიური მეურნეობებით.

საქონლის ბრუნვის ამ ახალ, მეტად მნიშვნელოვან წყაროებს შორის განსაკუთრებული და უმთავრესი ადგილი უჭირავს **საბჭოთა და კოლექტიურ მეურნეობის სასაქონლო პროდუქციას**, რომლის უმთავრესი მასა ამჟამად მიდის სახელმწიფო დამზადებათა ხაზით და რომლის ნეორე, საკმაოდ დიდი ნაწილი უნდა მოხმარდეს **საკოლმეურნეო ვაჭრობის გაშლის საქმეს**, იმ უდიდესი მიღწევების საფუძველზე, რომელიც ჩვენ მოვიპოვეთ სოფლის მეურნეობის სოციალისტურ გარდაქმნის დარგში,

თავის მხრივ, 10 მაისის დადგენილებაში პირუტყვის დამზადების გეგმის და ხორცით ვაჭრობის გაშლის შესახებ, პარტიამ და ხელისუფლებამ წამოაყენა ხორცით საკოლმეურნეო ვაჭრობის გაშლის ამოცანა, რაც დაუკავშირდა ხორცის დამზადების 1932 წლის გეგმის სანახევროდ შემცირებას. ამასთან ერთად, პურის და ხორცის დამზადების გეგმების შემცირება ცალკე მხარეებისა და რესპუბლიკებისათვის არ მომხდარა მექანიკურად და თანაბრად. პარტიამ მხედველობაში მიიღო ცალკე სამეურნეო რაიონებში, როგორც მარცვლეული მეურნეობის, ისე განსაკუთრებით მეცხოველეობის მდგომარეობა და ამგვარად დააწესა სახელმწიფო დამზადების მიმდინარე წლის ლიმიტები ცალკე მოკავშირე რესპუბლიკებისათვის. ამავე დადგენილებით, გაუქმდა მსხვილ რქოსანი და წვრილფეხა პირუტყვის დაკვლის ყოველგვარი შეზღუდვა, როგორც სოფლის მოსახლეობის პირადი საჭიროებისათვის, ისე გასასყიდათ. 6 და 10 მაისის დადგენილებით, საკ. კ.პ. (ბ) ცეკამ და საკ. სახკომსაბჭომ მიზანშეწონილად ცნეს, რომ კოლმეურნეობებს, კოლმეურნეებს და ინდ. მეურნეებს, რომლებიც წესიერად და პირნათლად ასრულებენ ამზადების ცენტრალიზებულ გეგმას, მიეცეთ სრული შესაძლებლობა დაუბრკოლებლად, საკუთარი შეხედულებისამებრ, როგორც ბაზრებზე, ისე თავიანთ საკოლმეურნეო დუქნებში თავისუფლად გაჰყიდონ პური, მსხვილფეხა პირუტყვი, ღორი, ცხვარი, ფრინველი და თავიანთი მეურნეობის ხორცის ყველა სხვა პროდუქცია.

საკოლმეურნეო ვაჭრ. ფართოდ გაშლის და ამ საქმეში კოლმეურნეთა და ინდივიდუალურ მშრომელ მეურნეთა დაინტერესების გაზრდის მიზნით, დაწესებულია მთელი რიგი შეღავათები. ღონისძიებათა მთელი ჯგუფი, რომელიც უკანასკნელ ხანებში გაატარეს საკავშირო ცაკმა და სახკომსაბჭომ და ადგილობრივმა სადირექტივო ორგანოებმა, მიმართულია იქეთკენ, რომ ყოველგვარი პირობები შეიქმნას საკოლმეურნეო ვაჭრობის გაშლისათვის, საბჭოთა ბაზრებზე მეტი სასოფლო-სამეურნეო პროდუქციის გამოტანისათვის. ამ მიზნით, მთავრობამ გააუქმა ყველა არსებული, რესპუბლიკანური და ადგილობრივი მნიშვნელობის გადასახადები და გამოსაღებები იმ ვაჭრობაზე, რომელსაც კოლმეურნეობები, კოლმეურნეები და ინდივიდუალური ღარიბ-საშუალო გლეხები აწარმოებენ თავიანთი სასოფლო-სამეურნეო პროდუქტებით, ბაზრებზე, მოედნებზე, რკინის გზის სადგურებზე, გემთ-მისადგომებთან და სხვაგან...

დაწესდა საკოლმეურნეო ვაჭრობის საშუალებით მიღებული შემოსავლის დაბეგვრის მეტად შეღავათიანი პირობები. საკ. ცაკის და სახკომსაბჭოს 20 მაისის დადგენილების თანახმად ის შემოსავალი, რომელსაც კოლმეურნეობები და კოლმეურნეები იღებენ ბაზრებზე თავიანთი სასოფლო-სამეურნეო პროდუქციის გაყიდვისგან, სრულებით არ იბეგრება სასოფლო-სამეურნეო გასახადით. ამავე დროს ინდივიდუალურ ღარიბ-საშუალო გლეხთათვის ამ დარგში დაწესდა შეღავათი. ინდივიდუალურ მშრომელ გლეხთა მეურნეობის მიერ თავიანთი სასოფლო-სამეურნეო პროდუქციის რეალიზაციით მიღებული შემოსავალი იბეგრება სასოფლო-სამეურნეო გადასახადით, ვაჭრობის შემოსავლის არა უმეტეს 30 პროცენტის რაოდენობით. ეს შეღავათები ქმნიან უდიდეს სტიმულს საკოლმეურნეო ვაჭრობის მაქსიმალურად გაშლისათვის.

იმ კოლმეურნეობებისათვის, რომლებიც ვაჭრობას იწყებენ, გამოყოფილია 10 მილიონი მანეთი. ხსენებულ თანხის მიზანშეწონილად გამოყენებით, ჩვენ შევსძლებთ მოკლე დროში შევქმნად საკოლმეურნეო ვაჭრობის გაშლის მძლავრი საფინანსო ბაზა და გავზარდოთ კოლმეურნეობათა დაინტერესება თავიანთი ფინანსიური მუშაობის შედეგებით. ეს აუცილებელია მით უმეტეს იმიტომ, რომ კრედიტებს მიიღებენ მხოლოდ ის კრედიტუნარიანი კოლმეურნეები, რომლებიც გაშლიან ნამდვილ საკოლმეურნეო ვაჭრობას.

საქართველოში, უკანასკნელ ხანებში პარტიის და ხელისუფლების ამ დადგენილებათა მშრომელთა მასებისათვის გაცნობის დარგში გადაიდგა სათანადო ნაბიჯები. ჩვენ უკვე გვაქვს ჩატარებული მუშაობის პირველი პრაქტიკული შედეგები. რესპუბლიკაში, უმთავრესად მსხვილ სამრეწველო რაიონებში და ფაბრიკა-ქარხნებთან ამჟამად გახსნილია და მუშაობს 120-მდე საკოლმეურნეო სავაჭრო. ყოველდღიურად იზრდება ბაზარზე გამოტანილი სასოფლო სამეურნეო პროდუქტების რაოდენობა და თანდათან მცირდება ფასები ამ პროდუქტებზე.

**საკოლმეურნეო ვაჭრობა — საბჭოთა ვაჭრობაა.** იგია უშუალოდ სასოფლო-სამეურნეო პროდუქციის მწარმოებელთა ვაჭრობაა, სპეკულიანტების და გადამყიდველების გარეშე. ამასთან ერთად, იგია ხანგრძლივი დროისათვის მოფიქრებული ვაჭრობა, რომელიც **მომავალში კიდევ უფრო გაფართოვდება, გაიშლება და განვითარდება.**

სისტემატიური ბრძოლა უნდა ვაწარმოოთ „მემარცხენე" გადახრების წინააღმდეგ, რომლებიც მიმართულია იქეთკენ, რომ ზევიდან ბრძანებით და საგანგებო ადმინისტრატიული ზომების საშუალებით (საკოლმეურნეო ვაჭრობისათვის ფასების დაწესება, პროდუქციის სავალდებულო ჩაბარების შემოღება და სხვ.) თავისებურად „გაშალონ" საკოლმეურნეო ვაჭრობა და ამით, ფაქტიურად ჩაშალონ პარტიის და ხელისუფლების უკანასკნელი ღონისძიებათა განხორციელება.



# ვიძლევით სესხს

## სოცმშენებლობის ტემპების დასაჩქარებლად

ეროვნული ბიბლიოთეკა

ხუთწლედის მეოთხე წელს საბჭოთა ქვეყანა ლენინური პარტიის ც. კ-ს სწორი ხელმძღვანელობით ამთავრებს ხუთწლიანი გეგმით გათვალისწინებულ მშენებლობას.

ყოველი ქვეყნის მშრომელს შეუძლია შეადაროს კაპიტალისტური სისტემის შედეგები იმას, რაც გვაქვს ჩვენ პროლეტარული დიქტატურის ქვეყანაში. ეს შედარება ცხადჰყოფს, რომ კაპიტალისტური სისტემა მოიცვა კრიზისმა. ინგრევა კაპიტ. ქვეყნების მრეწველობა, იშლება სახალხო მეურნეობა, იზრდება უმუშევრობა და ფიზიკურად ნადგურდება მშრომელი მოსახლეობა.

საბჭოთა კავშირი კი აღმავალი ხაზით მიდის. ჩვენ ავაშენეთ სოციალისტური მშენებლობის გიგანტებს, მოვსპეთ უმუშევრობა, შევქმენით მრეწველობის ახალი დარგები, რომელიც ანმტკიცებს საბჭოთა კავშირის ეკონომიურ დამოუკიდებლობას და ჩვენს თავდაცვითი უნარიანობას.

სოციალისტური მშენებლობის კიდევ უფრო გასაძლიერებლად მოწინავე მუშების ინიციატივით საკავშირო მთავრობის მიერ გამოშვებული იქნა ახალი სესხი.

ახალი სესხი **,,ხუთწლედის მეოთხე დამამთავრებელი წელი''**—გამოშვებულია 3 მილიარდ 200 მილიონ მანეთის რაოდენობით. ამ თანხიდან საქართველოში უნდა გავრცელდეს 50 მილ., ხოლო მარტო ტფილისში—20 მილ. მან.

სესხის რეალიზაციის კამპანია ფართედ გაიშალა ფაბრიკა-ქარხნებსა და მთელ რიგ საბჭოთა, პროფესიონალურ და სხ. ორგანიზაციებში. ტფილისის პროლეტარიატი განსაკუთრებულის ენერგიითა და ხალისით შეუდგა ამ მორიგი ღონისძიების ცხოვრებაში გატარებას ჩვენი ქვეყნის სოციალისტური აღმშენებლობის ტემპების გასაძლიერებლად.

ჩვენს ფოტოზე ნაჩვენებია ზოგიერთი მომენტები ამ კამპანიის მსვლელობიდან.

**პირველ რიგზე—მარცხნით:** სახბანკის მიერ მოწყობილი გამსვლელი კიოსკი ამხ. სტალინის სახელობის მუშათა კლუბში: **მარჯვნით:** მემანქანეთა ბრიგადების სრულიად საკავშირო კონკურსზე გამარჯვებისათვის შრომის წითელი ორდენით დაჯილდოებული ორთქლმავალი B—22-ს მემანქანე ამხ. **სულაძე**, რომელმაც ხელი მოაწერა 2 თვის ჯამაგირზე.

**მეორე რიგზე**—თამბაქოს ფაბრიკა **პროლეტარი''-ს** მუშათა ერთი ჯგუფი, რომელმაც ვადაზე ადრე მოაწერა ხელი სესხზე თვენახევრის ჯამაგირის რაოდენობით.

**მესამე რიგზე**—ღუზის ცეხის დამკვრელი მუშები—ამხ. ყურაშვილი, თედორაშვილი და ჯაფარიძე. ხელი მოაწერეს თითო თვის ჯამაგირზე.

**მესამე რიგზე —** ამხ. სტალინის სახელობის აბრეშუმის საქსოვ ფაბრიკის სამოდელო ცეხის კომკავშირელი მუშა-ქალები, ხელი მოაწერეს თვენახევრის ჯამაგირზე.

ეროვნული ბიბლიოთეკა

# საბჭოთა კავშირში ამუშავდება

მაშინ როცა საბჭოთა კავშირი ლენინური კომპარტიის უშუალო ხელმძღვანელობით დღითიდღე ანმტკიცებს სახალხო მეურნეობას, მაშინ როცა მტკიცე ნიადაგი ჩაეყარა მრეწველობას, ერთი-ორად გაიზარდა შრომის ნაყოფიერება, მოისპო უმუშევრობა, ბრწყინვალე გამარჯვებით მთავრდება პირველი ხუთწლედი და ჩვენი ქვეყნის პროლეტარიატი გადადის მეორე ხუთწლედში, კაპიტალისტური ქვეყნები მოიცვა კრიზისმა, უმუშევრობამ და იქაური პროლეტარიატი გალატაკებისა და სიმშილით განადგურების შიშით სტოვებს ქალაქებსა და სამრეწველო ცენტრებს.

ამჟამად კაპიტალისტურ ქვეყნებში ასობით ჩამქრალია ბრძმედები, რამაც იქ გამოიწვია პირდაპირ კატასტროფიული მდგომარეობა თუჯის ჩამოდნობის დარგში. ამ მხრივ მხოლოდ საბჭოთა კავშირი წარმოადგენს გამონაკლისს მთელს მსოფლიოში. მაშინ როცა კაპიტალისტურ ქვეყნებში თუჯის მრეწველობა დაეცა 50 პროცენტ. ჩვენი კავშირი დღითი-დღე ანმტკიცებს მას და მოკლე ხანში სრულიად უზრუნველყოფს თავის დამოუკიდებლობას ამ მხრივ. 1932 წ. განმავლობაში ასამუშავებლად გამზადებულია 24 ბრძმედი, რომელთა უდიდესი ნაწ. თავისი სიმძლავრით გაცილებით დიდია ამჟამად ევროპაში არსებულ ბრძმედებზე. ქ. ტულაში არსებული კოსოგორის ბრძმედი № 3, რომელიც ამუშავდა წელს პირველ მაისს თავისი ძალოვანებით აჭარბებს № 1 და № 2 ერთად და დღე და ღამის განმავლობაში ჩამოადნობს 400 ტონა თუჯს. წელს 5 ივნისს 5 საათსა და 20 წუთზე ამუშავდა მაგნიტოგორსკის კომკავშირელთა ბრძმედი № 2.

ევროპაში არ მოიპოვება ამისი მსგავსი ბრძმედი, ხოლო ჩრდ. ამერიკაში არსებული 4 ბრძმედიდან მუშაობს მხოლოდ ერთი. ამჟამად საბჭოთა კავშირში მუშაობს 2 ასეთი ბრძმედი, რომლებიც პროექტით გათვალისწინებული სრული დატვირთვის შემდეგ დღე და ღამეში მოგვცემს 2.500—3.000 ტონა თუჯს.

მაგნიტოგორსკის ბრძმედი № 2 ისევე, როგორც № 1 მოწყობილია ტექნიკის უკანასკნელი მიღწევების მიხედვით. წარმოების ყველა პროცესები მექანიზირებულია. ბრძმედი № 2 დაიწყებს მუშაობას ბრძმედი № 1-ზე ოთხი თვიანი გამოცდის ჩატარების შემდეგ, რაც მოგვცემს საშუალებას სავსებით დავეუფლოთ ბრძმედი № 2-ში პროექტით მოცემულ ძალოვანებას სულ მცირე ხნის განმავლობაში. ბრძმედი № 2 რიცხვით მეორეა 24 ბრძმედიდან, რომელიც ამუშავდა წელს საბჭოთა კავშირში.



სურათზე—ზემოდან ქვემოდ: 1. მაგნიტოგორსკის ბრძმედები, 2. მაგნიტოგორსკის კომკავშირელთა ბრძმედი № 2.

## 24 ბრძმედი

## ვ ე რ ს ა ლ
(1919—28 [illegible])

ეროვნული ბიბლიოთეკა

### „დანაშაული უნდა დაისაჯოს“

„დღეს მე მოვედი იმისათვის, რომ ვილაპარაკო ომზე და ომის შესახებ. როგორც ინტერნაციონალისტი და სოციალისტი, როგორც მშვიდობიანობის მეგობარი, მე ვიცავ ომს ბოლომდე. აღშფოთებას იწვევს ჩემში ყოველი იდეური ამხანაგი, რომელსაც სურს ზავის ჩამოგდება. აჰ არა! დანაშაული უნდა დაისაჯოს“.

ეს სიტყვები ეკუთვნის მისა „უდიდებულესობის“ ბელგიის მეფის მაშინ და შემდეგ მრავალჯერ მინისტრად ნამყოფ „სოციალისტს“ ემილ ვანდერველდეს და წარმოსთქვა მან პარიზში 1915 წ. 18 აპრილს გაკეთებულ მოხსენებაზე. მკითხველს არ გააკვირვებს ის უსირცხვილო ცინიზმი, რომლითაც ბ-ნი ვანდერველდე ცდილობდა „მშვიდობიანობის მოყვარეობისა“ და „ბოლომდე ომის“ ლოზუნგის შეთვისებას. განსაკუთრებით საგულისხმოა მისი მითითება „დამნაშავის დასჯის“ აუცილებლობაზე. არასოდეს იმ „თეორიცვალებამდე“, რომელიც მსოფლიო ომის დაწყების პირველ დღეებშივე განიცადეს მეორე ინტერნაციონალში შემავალმა პარტიებმა, არასოდეს არც ერთ ნამდვილ სოციალისტს არ მოსვლია აზრად ომის ცეცხლის დანთებაში ბრალი დაედო მთელი ხალხისათვის. ყველა რეზოლუციებში რომლებიც საერთაშორისო სოციალისტურ კონგრესებს მიუღიათ ომის საკითხზე, ზოგან ბუნდოვნათ და ზოგან სრული სიცხადით ომის ინიციატორებათ აღიარებულია კაპიტალისტური ბურჟუაზია, რომელიც ბაზრების დასაპყრობად არ ერიდება არავითარ მსხვერპლს — მსხვერპლს არა თავისი სიცოცხლის სახით ან თავის ჯიბის ხარჯზე, არამედ ასეულ ათას მუშებისა და გლეხების სიცოცხლის სახით და უკანასკნელთა ხარჯზე.

მაგრამ კაპიტალისტების სამსახურმა ვანდერველდესა და ძმათა მისთა შეგნებიდან სრულიად ამოიღო სოციალისტური კონგრესებისა და კონფერენციების დადგენილებები, ყველაფერი, რასაც სიტყვით ეთაყვანებოდნენ და ერთგულებას ეფიცებოდნენ მეორე ინტერნაციონალის მესვეურები.

თუ მოკავშირეთა ბანაკში „მართლმორწმუნე „სოციალისტი“ ვანდერველდე დასჯით ემუქრებოდა „დამნაშავეებს“ — ე. ი. მთელ გერმანიის ხალხს, — არც ვილჰელმ მეორის ერთგული მსახურები რჩებოდნენ ვალში და არანაკლებ რისხვას უგზავნიდნენ თავიანთ მტრებს.

„გერმანიისა და ავსტრიის ჯარების შეუდარებელ სიმამაცეზე იმსხვრევა მოლალატე და ფიცის გამტეხ მეფის*), გაიძვერა იაპონელების, ვერაგ ინგლისელების, ტრაბახა ფრანგების, ცრუპენტელა ბელგიელების, უმადური ბურების. მკვეხარა კანადიელების და ნახევრად ველური, ევროპაში მოთრეულ ინდუსების მავრების, ზუავების, ზანგების და სხვა შავკან ნაგავის ყველა უსინდისო გეგმები.

საკმაოდ ცნობილია უკვე ის გარემოება, რომ მამაცი გერმანელი ჯარისკაცები იძულებულნი არიან სისხლით გაჟღენთილ საფრანგეთის მიწაზე ებრძოლონ ნახევრად ველურებს, რომლებიც ინგლის-საფრანგეთის საზარბაზნე ხორცს წარმოადგენენ. საკმაოდ ცნობილია ის, რომ „რევოლუციონერი“ და „რესპუბლიკანელი“ ფრანგები დასაშვებათ თვლიან, რათა მათ უმეთაუროს ბოროტმოქმედმა რუსეთის თვითმპყრობელობამ და ყოველთვის გონიერი ბელგიელები ნებას რთავენ, რომ ისინი მოატყუოს მშიშარა და უსინდისო ალბიონმა**). ომის ყოველი დღე უდავოთ ამტკიცებს, თუ რამდენად სამართლიანია საქმე გერმანიის, რომელიც თავს იცავს.

— ამას სწერდა 1914 წლის 25 ოქტომბერს გერმანიის ტრანსპორტელთა კავშირის ორგანო „კურიერი“, რომელიც თავდაცვად თვლიდა იმას, რომ გერმანიის არმიებს ეჭირათ ბელგიისა და საფრანგეთის ტერიტორია.

„დამნაშავის“ გამორკვევის საკითხი ბრძოლის ველზე წყდებოდა, პირველ ხანებში ომის სასწორი გერმანიის კოალიციის მხარეზე იყო. მას შემდეგაც კი, რაც მოკავშირეებს წამოეშველენ ამერიკის ჯარები, მდგომარეობა ფრონტებზე იმდენად ხელსაყრელი იყო ცენტრალური სახელმწიფოებისათვის, რომ შეერთებული შტატების ადმირალმა სიმსმა ინგლისის ადმირალ ჯელიკოსთან თათბირის შემდეგ ვაშინგტონში გაგზავნა მემორანდუმი, რომელშიც ომს წაგებულად თვლიდა. მაგრამ სასურსათო კრიზისმა, მოქანცვამ მოკავშირეთა ძალების სიმრავლემ*) და მოწინააღმდეგეთა სამხედრო ტეხნიკის უპირატესობამ თავისი ჰქნეს. გერმანიამ დაჰკარგა ბრძოლის უნარი და ამრიგად თავისთავად გახდა „დამნაშავე“.

ბ-ნ ვანდერველდეს და მის მეგობრებს მიეცათ საშუალება „დანაშაული დაესაჯათ“.

*) ლაპარაკია ნიკოლოზ მეორეზე.

**) ინგლისმა.

### „დამნაშავე“ ზავს ითხოვს

პირველი, რომელმაც ცენტრალურ სახელმწიფოებიდან დასტოვა ბრძოლის ველი — იყო ბულგარეთი. უკანასკნელი ისე მოულოდნელად გამოეთიშა თავის მოკავშირეებს, რომ მისი კაპიტულაციის ამბავი გერმანიის სარდლობამ გაიგო მხოლოდ 36 საათის შემდეგ (1918 წ. 27 სექტემბერს). 31 ოქტომბერს ბრძოლაზე ხელი აიღო თურქეთმა, 3 ნოემბერს კი — ავსტრია-უნგრეთმა.

უკვე 1918 წ. შემოდგომაზე გერმანიის კოალიციის სარდლობისათვის ცხადი შეიქნა, რომ ომის გაგრძელება შეუძლებელია.

29 სექტემბერს ლუდენდორფმა, 1-ლ ოქტომბერს კი ჰინდენბურგმა მოსთხოვეს მთავრობას წინადადების მიცემა მოკავშირეებისათვის ზავის ჩამოგდების შესახებ. პრინც მაქს ბადენელის „კონსტიტუციონურმა“ მთავრობამ**) შვეიცარიის მთავრობის საშუალებით სთხოვა ვილსონს „იკისროს მშვიდობიანობის აღდგენა“ მისი „14 მუხლისა“ და 1918 წ. 27 სექტემბრის სიტყვის საფუძველზე.

მაგრამ მოკავშირეები და მათთან ერთად ვილსონიც არ ჩქარობდნენ. მხოლოდ 8 ოქტომბერს შეერთებული შტატების გარეშე საქმეთა მინისტრი შეეკითხა გერმანიის მთავრობას — მართლა აპირებს, თუ არა იგი საზავო პირობების მიღებას ვილსონის 14 მუხლისა და მისი შემდგომი განცხადებების საფუძველზე და თან აცნობებდა, რომ დროებითი ზავი შეუძლებელია, სანამ ცენტრალური სახელმწიფოების ჯარებს უჭირავთ უცხო ტერიტორიები. გერმანიის ჯარებს ისედაც აღარ შეეძლოთ დაკავებული ტერიტორიების შენარჩუნება, მაგრამ მაქს ბადენელის მთავრობისათვის უფრო ხელსაყრელი იყო დროებითი ზავის ჩამოგდება მანამდე, სანამ მას ჰქონდა სამხედრო უპირატესობა, სანამ გერმანიის ჯარებს ეჭირათ სხვისი ტერიტორიები. ლანსინგის ნოტა გერმანიას აცლიდა ამ უპირატესობას. გერმანიას აღარ ჰქონდა ვაჭრობის საშუალება ლანსინგის წინადადება მიღებული იქნა, მაგრამ კიდევ რამდენიმე ნოტის გაცვლა-გამოცვლა შეიქნა საჭირო, სანამ ვილსონი დასთანხმდებოდა გერმანიასთან ზავის ჩამოგდებაზე, 23 ოქტომბერს გერმანიის მთავრობას გადაეცა ლანსინგის ნოტა, რომელიც დროებითი ზავის პირობათ აყენებდა ვილჰელმის გადაგდებას, რადგან „შეერთებული შტატების მთავრობას მოლაპარაკების წარმოება შეუძლია მხოლოდ გერმანიის ხალხის წარმომადგენლებთან“.

*) ნოემბრის პირველ რიცხვებში, გერმანული ცნობებით, დასავლეთის ფრონტზე ყოველ ხუთას გერმანელ ჯარისკაცზე მოდიოდა: 600 ფრანგი, 700 ინგლისელი და 1.200 ამერიკელი ჯარისკაცი. იხ. „მოლოდაი გვარდია“-ს მიერ 1924 წ. გამოცემული კრებული „გერმანიის რევოლუცია“ გვ. 117.

**) პირველი მთავრობა გერმანიაში, შედგენილი რეიხსტაგის ფრაქციების შეთანხმებით. ვილჰელმ მეორე იძულებული გახდა წასულიყო კონსტიტუციონურ დათმობებზე, რადგან 1918 წ. 27 სექტემბრის ვილსონმა თავის სიტყვაში გაკვრით განაცხადა რომ შეუძლებელია მოლაპარაკება „უპასუხისმგებლო და თვითნებურ მთავრობასთან“

ვილჰელმის საქმეები ისედაც ცუდათ იყო წასული. მშრომელი მასების უკმაყოფილებამ, რომელსაც ოთხი წლის განმავლობაში ბორკავდა პოლიციური რეჟიმი და მენშევიკების ავტორიტეტი, გადახეთქა ზღუდეები 28 ოქტომბერს დაიწყო მეზღვაურთა აჯანყება კილში. ჩქარა იფეთქა მღელვარებამ გერმანიის სხვადასხვა კუთხეებში.

8 ნოემბერს გერმანიის დელეგაცია ერცბერგერის მეთაურობით ჩავიდა მოკავშირეთა მთავარ ბანაკში. აქ მას გადასცეს დრ. ზავის პირობები, რომელზედაც გერმანიას პასუხი უნდა გაეცა 72 საათში. ამავე დროს კი მოკავშირეთა ჯარები განაგრძობდნენ შეტევას ყველა ფრონტებზე. ეს ფაქტიურად აღარ იყო შეტევა, რადგან მათ არავინ ებრძოდა, ეს იყო შეუჩერებელი წინსვლა, ნაკარნახევი საფრანგეთის მძიმე მრეწველობის ინტერესებით. პუანკარესა და მის კოლეგებს „კომიტს დე-ფორჟ“-იდან სურდათ, სანამ ომი ფაქტიურად შეწყდებოდა, დაჰპატრონებოდნენ გერმანიის იმ ტერიტორიებს, რომლებიც საფრანგეთის მრეწველობას მისცემდა ნედლეულსა და საწვავ მასალას.

„ჰოჰენცოლერნების ტახტი შეირყა. მიუხედავათ მენშევიკების ათასგვარი ცდებისა, 9 ნოემბრის რევოლუციამ ბოლო მოუღო გერმანიის მონარქიას.

გერმანიაში იმედი მიეცათ, რომ ამიერიდან მოკავშირეები და კერძოთ ვილსონი მეტს ლმობიერებას გამოიჩენს, მაგრამ ეს იმედი უსაფუძვლო აღმოჩნდა.

### დროებითი ზავი. — პარიზის კონფერენცია

დაბოლოს, როგორც იქნა, მოკავშირეებმა დასდევს დროებითი ზავი გერმანიასთან (1918 წ. 11 ნოემბერს). გერმანიას ორი კვირის განმავლობაში უნდა დაეცალა ბელგია, საფრანგეთი, ლუქსემბურგი და ელზას-ლოტარინგია, გადაეცა მოკავშირეებისათვის: 5.000 ზარბაზანი, 25.000 ტყვიამფრქვევი, 3.000 ნაღმსროლი, 1.700 აეროპლანი, 150.000 ვაგონი, 5000 ორთქლმავალი, 5.000 საბარგო ავტომობილი. გარდა ამისა, მოკავშირეებს ეძლეოდათ უფლება დაეკავებიათ რეინის მარცხენა ნაპირი და მარჯვენა ნაპირზე მდებარე სიმაგრეებთან მისასვლელი გზები (ოკუპაციის ხარჯები დაეკისრა გერმანიას). გერმანიას უნდა გადაეცა მოკავშირეებისათვის რუსეთის და რუმინეთის ოქროს ფონდი, ყველა წყალქვეშა ნავები, 6 კრეისერი, 10 ჯავშნოსანი, 56 განმანადგურებელი და სხვ.*) ერთი სიტყვით, მსოფლიოს ჯერ არ უხილავს ასეთი დამამცირებელი საზავო პირობები. მაგრამ ეს კიდევ ცოტათ მიაჩნდათ გამარჯვებულებს, განსაკუთრე-

# ის ზავი

## ნისი 1932)

ბით საფრანგეთს. სადაც ლოზუნგი, „ბოში გადაიხდის“ ქვეყნის დანგრეული ეკონომიკის აღდგენის და ფინანსების მოწესრიგების ქვა-კუთხედად გამოაცხადეს. საფრანგეთის ზოგიერთი იმპერიალისტები იქამდეც კი მიდიოდნენ, რომ მოითხოვდნენ ზავის დადებას არა გერმანიის საიმპერიო მთავრობასთან, არამედ გერმანიის ცალკე სახელმწიფოებთან.

თუმცა ვილსონმა გერმანიასთან წინასწარი მოლაპარაკების პროცესში საგრძნობათ შეჰკვეცა თავისი „14 მუხლის“ ფარგლები, მაგრამ მოკავშირეებმა ესეც არ იკმარეს. მათ გადასწყვიტეს, რომ გერმანია მონაწილეობას კი არ მიიღებს საზავო მოლაპარაკებაში, არამედ მას გადაეცემა გამზადებული ხელშეკრულება და წინადადება მიეცემა მიიღოს იგი. და მართლაც, როცა 1919 წ. 13 იანვარს პარიზში შეიკრიბა საზავო კონფერენცია, მასზე წარმოდგენილი იყვნენ მხოლოდ გამარჯვებული სახელმწიფოები. ისეთი ქვეყნებიც კი, რომლებიც ნომინალურად იღებდნენ მონაწილეობას ომში (მაგ. ლიბერია, პანამა, პერუ და სხვ.), მაგრამ არ იყვნენ დამარცხებულნი.

ამ კონფერენციაზე თავი იჩინა ორმა დიამეტრალურად მოწინააღმდეგე თვალსაზრისმა. საფრანგეთს თავის დელეგატების სახით არ მიაჩნდა ცემად გერმანიის მიმართ მიღებული რეპრესიები. მას სურდა საბოლოოდ დაექსაქსა და დაესუსტებია გერმანია, რომ დაეკავებია უკანასკნელის ადგილი. ეს კი არ შედიოდა ინგლისის ანგარიშში, რომელსაც სრულიად არ ჟინდოდა გერმანიის ძლიერების ლიკვიდაციის შემდეგ ახალი მეტოქე გასჩენოდა კონტინენტზე. შ. შტატების დელეგაციამ, რომელიც გართული იყო ვილსონის იდეის —ერთა ლიგის პროექტის დამუშავებით, ჯერ კიდევ კონფერენციის ოფიციალურ გახსნამდე გამართულ მოლაპარაკების დროს დაუთმო ბევრი და მიუდგა ინგლის-საფრანგეთის დელეგაციებს და საქმეებში ერეოდა მხოლოდ მაშინ, როცა კონფერენციის მონაწილეებს შორის თავს იჩენდა მწვავე უთანხმოება (მაგ. სამხრეთ-სლავიისა და იტალიის დელეგატებს შორის ჩრდ. დალმაციის საკითხის გარშემო მომხდარი კონფლიქტი).

გერმანიის დელეგაცია საგარეო საქმეთა მინისტრ გრაფ ბროკდორფ რანცაუს მეთაურობით პარიზში ჩავიდა 29 აპრილს 7 მაისამდე, როცა დელეგაციას გადასცეს ხელშეკრულების ტექსტი, გერმანელებს ეპყრობოდნენ, როგორც კეთროვანებს. ისინი განცალკევებული იყვნენ და მთელი დღის განმავლობაში მათ მხოლოდ ერთჯერ ჰქონდათ ურთიერთობა მოკავშირეთა წარმომადგენლებთან. გამართლდა გერმანელების ყველაზე ცუდი მოლოდინი. მიუხედავათ იმისა, რომ ინგლისი წინააღმდეგობას უწევდა საფრანგეთის წრეგადასულ აგრესიულ განზრახვებს, „საზავო“ პირობები იმდენად აუტანელი აღმოჩნდა, რომ გერმანიის დელეგაციამ უარი განაცხადა მის მიღებაზე და 16 ივნისს დაბრუნდა ბერლინში (უკან დაბრუნების წინ უძლოდა გერმანიის დელეგაციის უშედეგო ცდები, მიმართული „საზავო“ პირობების შემსუბუქებისაკენ).

გერმანიის ნაციონალისტური კრება ამათ შეეცადა შეემსუბუქებია ხელშეკრულების ზოგიერთი მუხლები. მოკავშირეები მას სამხედრო მოქმედების განახლებით დაემუქრენ. მაშინ ახალმა კოალიციონურმა მთავრობამ მენშევიკ ბაუერის თავმჯდომარეობით პარიზში გაგზავნა დეპეშა, რომ გერმანია თანახმა მიიღოს „საზავო“ პირობები. 1919 წ. 28 ივნისს გერმანიის დელეგაციამ საგარეო საქმეთა მინისტრ მენშევიკ გერმან მიულერის მეთაურობით ხელი მოაწერა „საზავო“ ხელშეკრულებას, რომელიც ცნობილია ვერსალის ხელშეკრულების სახელწოდებით.

## „ზავია ეს“?

ვერსალის ხელშეკრულება ეს არის უმთავრესად ფრანგ-იმპერიალისტების „შემოქმედება“ გარდა იმისა, რომ უკვე დროებითი ზავის პირველივე დღეებში გერმანია გაფცქვნეს მატერიალურად და სამხედრო მხრივ, ვერსალის ხელშეკრულებამ ძალაში ისეთი განწყობილება შექმნა ევროპაში, რომ საიდუმლოდ არა. დიდი ხნით მაინც ჩამოექვეითებია გერმანია და უზრუნველეყო საფრანგეთის ჰეგემონია. ამ მხრივ, ავსტრიასთან, უნგრეთთან ბულგარეთთან და თურქეთთან დადებულ ხელშეკრულებები მხოლოდ ვერსალის ხელშეკრულების დამატებას წარმოადგენენ და ექსპერტების ზემოთ აღნიშნულ მთავარ მიზანს, რომელიც ფრანგმა იმპერიალისტებმა დაისახეს საფრანგეთის ეკონომიური და პოლიტიკური ჰეგემონიის დასამკვიდრებლად ევროპაში, ვერსალის ხელშეკრულება გერმანიის ტერიტორია [illegible].057 კვ. კილომეტრიდან 1914 წ. 1-ლ აგვისტოს) შეამცირა 473.582 კვ. კილომეტრამდე, მოსახლეობა კი 67.883.997-დან [illegible].579-დე. გარდა ამისა შეიქნა მთელი რიგი ახალი სახელმწიფოები (პოლონეთი, ჩეხო-სლოვაკია) მჭიდროთ დაკავშირებულნი საფრანგეთის იმპერიალიზმთან და მასთან ერთად დაინტერესებული გერმანიის სისუსტეში. უნგრეთს ჩამოაცალა ისე ტერიტორიის თითქმის ორი მესამედი, ავსტრიას წაერთვა მთელი რიგი პროვინციები და გარდა ამისა ხელშეკრულებაში შეტანილი იქნა მუხლი, რომელიც სპობს ავსტრია-გერმანიის გაერთიანების ყოველგვარ შესაძლებლობას.

გერმანიის ეკონომიური ძლიერების შესასუსტებლად ფრანგმა იმპერიალისტებმა მთელი რიგი საშუალებები გამოიყენეს. მთელი რიგ ოლქების ჩამორთმევის გარდა გერმანიამ დაჰკარგა (ჯერ კიდევ რურის ოკუპაციამდე) ნახშირის მოპოვების 26 პროც. რკინის—75 პროც., თუთიის—68 პროც., ხორბლის მოსავლის—18 პროც., კარტოფილის—18 პროც., სავაჭრო ფლოტის ტონაჟის 89% *), გარდა ამისა, გერმანია გაძარცვეს ამ სიტყვის ნამდვილი მნიშვნელობით: მას წაართვეს 50 მილიარდამდე მარკის სხვადასხვა ქონება და აქედან მხოლოდ უმნიშვნელო ნაწილი ჩაუთვალეს სარეპარაციო გადასახადებში. გარდა ამისა, გერმანიას დაეკისრა მოკავშირეებისათვის, უმთავრესად—საფრანგეთისათვის მიყენებული ზარალის ანაზღაურება სარეპარაციო გადასახადის გადახდა. რეპარაციების ჯამის გამორკვევა დაევალა სპეციალურ კომისიას. ექსპერტთა უკანასკნელ კონფერენციამდე, რეპარაციების ჯამი განისაზღვრა [illegible] პერიოდში საფრანგეთმა სარეპარაციო გადასახადების ჯამათ 2[illegible] მილიარდი მარკა და ასახელებდა კიდეც გატარა იგი მოკავშირეთა კონფერენციაზე ბრიუსელში, მაგრამ ეს თანხა შემცირებულ იქნა შემდეგში, მაგრამ გერმანიამ არც ეს შემცირებული თანხა მიიღო.

პუანკარე-ომმა იმ მიზნით, რომ საბოლოოდ განეხორციელებია ევროპაში საფრანგეთის დამკვიდრების გეგმა, ისარგებლა გერმანიის განცხადებით, რომ მას არ შეუძლია ასეთი დიდი გადასახადის ატანა და დაიკავა რურის ოლქი (1923 წ. დასაწყისში) და ამრიგად ელზას-ლოტარინგიის რკინას და ფოლადს რურის ნახშირიც მიუმატა.

მაგრამ ფინანსიურმა კრიზისმა, რომელმაც საფრანგეთში კატასტროფიული ხასიათი მიიღო, პუანკარე-ომის მიერ აშენებული ხუხულა დაანგრია: ვერსალის სისტემის ჩქარა ფაქტიურად შეცვალა დაუეს-ლოკარნოს სისტემამ, ინგლის-ამერიკულმა ჩაგვმა.

როგორც ზემოთ აღვნიშნეთ, ინგლისს სრულიად არ უნდოდა საფრანგეთის გაძლიერება და დამარცხებული გერმანიის სანაცვლოდ ახალი მეტოქეს გაჩენა კონტინენტზე. მაგრამ ის ნეიტრალური პოზიცია, რომელიც შეერთებულმა შტატებმა დაიკავა ევროპის საქმეების მიმართ ვერსალის მოლაპარაკების შემდეგ *) საშვალებას არ აძლევდა ინგლისს ეფექტური წინააღმდეგობა გაეწია საფრანგეთის აგრესიულობისათვის. მაგრამ აი 1924 წლის სამრეწველო და საფინანსო-სამეურნეო კრიზისმა აიძულა შეერთებული შტატები „დაინტერესებულიყო ევროპის ბედით და ჩარეულიყო სარეპარაციო საკითხის გადაწყვეტაში, რის შედეგიც იყო დაუესის გეგმა, შეერთებული შტატების პირველი მძლავრი იერიში ევროპისა და კერძოთ ინგლისის კაპიტალიზმის წინააღმდეგ.

დაუესის გეგმის წყალობით შეერთებულმა შტატებმა მძლავრათ მოიკიდა ფეხი ევროპის კონტინენტზე.

ამ წერილში ჩვენ შეუდგებით იმ ცვალებადობის დაწვრილებით განხილვას, რომელიც ვერსალის ხელშეკრულებამ განიცადა დაუესის და იუნგის გეგმისა და შემდგომ საერთაშორისო ხელშეკრულებათა ზეგავლენით. აღვნიშნოთ მხოლოდ, რომ ვერსალის ყაჩაღური ხელშეკრულება დღემდე წარმოადგენს ახალი ომის მძლავრ ფაქტორს.

სხვაფრივ არც შეიძლება ყოფილიყო: მტაცებლური და ყაჩაღური ხელშეკრულება, როგორიც სინამდვილეში არის „ვერსალის ზავი“, ვერ იქნება მშვიდობიანობის დასაყრდენი. იმპერიალისტებს არ შეუძლიათ მშვიდობიანობა მისცენ კაცობრიობას. ეს შესაძლებელი იქნება მხოლოდ მაშინ, როცა მთელს ქვეყნიერებაზე ძალა უფლებას დაეპატრონება მუშათა კლასი.

---

*) იხ. ე. ა. ადამოვი, „დიპლომატია და მსოფლიო ომი“, გრანატის ლექსიკონის ახ. გამოცემა 47 ტ. პირველი ნაწ.

*) დ. ბუხარცევ. „დაუესის გეგმა“. საკ. საგაგმო კომისიის გამოცემა.

*) როგორც მკითხველებს ეცოდინებათ, შეერთ. შტატების სენატმა არ დაამტკიცა ვერსალის ზავი და უკვე გარდინგის პრეზიდენტობის დროს შეერთ. შტატებმა სეპერატიული ზავი დასდო გერმანიასთან (1932 წ. შემოდგომაზე), რომ ფორმალურად ბოლო მოეღო იმ „ომის მდგომარეობისათვის“, რომელიც დარჩა შეერთ. შტ. გერმანიას შორის სენატის მიერ ვერსალის ხელშეკრულების უარყოფის გამო. შეერთ. შტატები არც ერთა ლიგაში შევიდა, თუმცა უკანასკნელის ფაქტიური ორგანიზატორი ვილსონი იყო.

ეროვნული ბიბლიოთეკა



# ჩქარი ტემპით მიმდინარეობს

## ტფილისის კეთილმოწყობა

სოციალისტური ინდუსტრიისა და მრეწველობის განვითარებული ტემპები არ ეტევა ძველი ქალაქის ფარგლებში.

საბჭოთა ხელისუფლების დამკვიდრების შემდეგ ტფილისში გაშენდა მთელი რიგი მუშათა საცხოვრებელი სახლები და უბნები, ფაბრიკა-ქარხნები, გაფართოებული იქნა ქუჩები, გაყვანილია ტრამვაის ახალი ხაზები, რომელიც გარეუბნებს აახლოვებს ცენტრთან და სხვ.



ძველი ტფილისი სწრაფად იცვლება, მის ნაცვლად მოდის ახალი, სოციალისტური ქალაქი. ამრიგად ის დგება დიდ სამრეწველო და კეთილმოწყობილ ქალაქთა რიგებში.

ამჟამად სადგურის ქუჩის პირდაპირ მტკვარზე ჟენდება ახალი უდიდესი ხიდი, რომელიც შეაერთებს სადგურისა და ვაკის რაიონებს. ხიდის სიგრძე უდრის 134 მეტრს, სიმაღლე—25. მუშაობა ხიდზე მიმდინარეობს დაკვრითი წესით. მიმდ. წლის პირველ კვარტალში გათვალისწინებული სამუშაოები შესრულებულია 112 პროცენტით.



ეს ხიდი დამთავრებული უნდა იქნეს 1933 წ. პირველ მაისისათვის.

გაცხოველებული მუშაობა მიმდინარეობს აგრეთვე ქალაქის ქუჩებში ასფალტის დასაგებათ, რომელიც დაჯდება 1 მილიონ მანეთამდე.

სწარმოებს აგრეთვე კალიაევის (ყოფ. ციციანოვის) აღმართის გაფართოება. მუშაობა დაიწყო 1932 წ. 1-ლ იანვარს. ამჟამად აქ მუშაობს 200 მეტი მუშა, რომელთა შორის ფართედ გაშლილია სოცშეჯიბრი და დამკვრელობა. სამუშაოები დასრულებული იქნება მიმდინარე წლის ბოლოს.

**სურათზე:** ქალაქის კეთილმოსაწყობათ წარმოებული მუშაობის სხვადასხვა მომენტები.





ეროვნული ბიბლიოთეკა





**თურქმენისტანი:** წელს ბრწყინვალედ და ვადაზე ადრე დამთავრდა თესვის კამპანია თურქმენისტანში.

სურათზე: მარცხნივ — თესვის კამპანიის ვადაზე ადრე დამთავრების შემდეგ თავდაცვა-ავიოქიმის უჯრედში მერვის რაიონის კოლმეურნეები ეცნობიან შაშხანის აგებულობას. მარჯვნივ—იმავე რაიონის, აული კონჩურის კოლმეურნე ქალთა დამკვრელი ბრიგადა ბამბის მინდორზე მუშაობის დროს.

---

ნაზიმ ჰიქმეტი

# აღმოსავლეთი და დასავლეთი

მისტერიები,
მორჩილება,
ფატალიზმი
მოაჯირები.
შეღებილი ფანჯრები,
ქარვასლები და ქარავნები,
მოედნებზე ცივი შადრევნები.
შებერეზადას ზღაპრებში
ათას ერთი წელი
განცხრომაშია ფადიშახი.
მსუბუქ და ვარდისფერ
მინარეთებს
გადაჰქდობია ლალის კოტორნები.
გუნდა-ლახუსტაკით შეღებილი ქალი
ფეხით ქარგავს ვარდებს.
ქუჩებზე დაძრწიან ძაღლები და ადა-
მიანები.
სულთანის ცოლი ცეკვავს
ვერცხლის ლანგარზე
და გარიყრაყიდან
ქარების შესახვედრად
მოსთქვამს ლურჯწვერიანი იმამი.
აი, ევროპის პოემებისა და რომანების
აღმოსავლეთი.
ასე სწერენ ათასს წიგნებში,
რომელნიც გამოდიან ყოველ წუთში.
მაგრამ არც დღეს, არც გუშინ
არც გვიან, არც ადრე
არც ყოფილა და არც იქნება
ასეთი აღმოსავლეთი.
სახლები ყველას აქვს
ამ ქვეყნის მკვიდრებს კი არა,
აქ დასაღუპავათ განწირულია
მონები.
ოქროთი და ხორბალით სავსე
ბეღლები
შიმშილი კვდება შიმშილიდან.
აზია
ჩინეთის ყვითელი ხალხი.
ფეხმარდი ყულები.
და ტანწვრილი ჩინელი ქალები.
ყვითელ სანთლებივით
დრედნოუტის ჯაჭვის კოშკებიდან
გადმოკიდულან იანკები.
ავღანისტანის შავ ბჭეებთან
ევერესტის თოვლიან მწვერვალებთან
ბრიტანიის ოფიცრები
ცეკვავენ ფოქსტროტს
ზანგების ორკესტრის
ჩახლეჩილ ხმაზე.
ფეხის შავ ბრჭყალებს
ასველებენ წმინდა განგის წყალში,
სადაც დასცურავენ
თეთრ კბილებიანი ინდუსელთა
დამხვრჩალი ლეშები.
ანატოლია,
შენა ხარ პოლიგონი,
სადაც ამსტრონგი
აბნევს შიშხინა ყუმბარებს.
კმარა,
აზიის მკერდი აივსო,
აღმოსავლეთის ყელი
გაიგუდა.
საკმაოთ ყლაპა ჩვენმა ქვეყანამ
ტყვიის მოსავლის ხორბალი.
და თუ ერთი თქვენთაგანი
სასწაულით მკვდრეთით აღადგება
ჩვენ უკანასკნელ დამხრჩვალ ძროხას.
ჩვენ მას ხელს დავუჭერთ
და ვეტყვით:
მოგვწყდით თავიდან
თქვენც ბატონო პიერ ლოტი.
ტილი ჩვენ ყვითელ ტანზე,
რომელსაც გადააქვს სახადი
ძმიდან ძმაზე.
თვით ეს ტილი
ჩვენთვის ძვირფასია და უფრო ახლობე-
ლი,
ვიდრე თქვენი ფრანგი ჯარისკაცების
ჟანდარმობა.
ახ, თქვენ დაგავიწყდათ,
როგორ ჰკრთოდნენ აზიაში
ყურძნის თვალები
დაწყნარებულ წყალზე.
და თქვენი ზარბაზნები
აქცევდნენ ჩვენ გულში დადგმულ
მის სალოცავის ქვას.
ვინც არ იცის,
ეხლა გაიგოს,
რომ თქვენ ხართ შეღებილი შარლა-
ტანი.
თქვენ ჯიბეში დანას მალავთ
და ქარვასლებში ყიდით ჩვენზე
დამპალ ფრანგულ ფარჩას.
და ასზე ასს იღებთ მოგებას
ასე ურცხვი მოტყუებისათვის.
თქვენმა ჯიბოსნებმა მოიტანეს მიწები
ბუმბრიტისი წყალის ლეჭვით,
ჩვენ კარგათ ვიცით, რა ლორის ხორცი-
დანაც
ხართ გამოჭრილი, ბატონო ბურჟუა.
მე რომ მწამდეს თქვენი სულის უკვდა-
ვება.
ამბოხების ჟამს,
როცა ტყვიები მღერიან,
როგორც კრაზანები,
მე იმას გავაფრენდი
მანქანის ზუზუნზე
და ხიდზე გადამდგარი
პაპიროსს მოუკიდებდი.
ოი, ევროპის სანკიულოტებო,
მე თქვენსკენ აღვაპყარ ხელი,
ამ ხრამებზე და უფსკრულებზე
ჩვენ თქვენ გაწვდით ხელს.
ოი, ევროპის სანკიულოტებო,
დასძარით ცხენები.
ცხენების ნალების გრგვინვაზე
შეუერთდით ჩვენ წითელ ცხენებს.
ამბოხებული აღმოსავლეთი
წითელი ცხვირსახოცს
გვიქნევს და გველის.
ახლოა სადგური.
გზა მზად არი.
ჩვენი ცხენოსანი ჯარი
ნალების ეკლებით
დატორავს იმპერიალიზმის ფაშვებს.

თარგმ. ტიციან ტაბიძის.

## ბ. ბიბინეიშვილი

# ამხანა
## (ტრაგიკულად დაღუპვიდან

ეროვნული ბიბლიოთეკა

„ტრაღიკულად დაიღუპა ამიერ-კავკასიის ერთი უძველეს მუშაკთაგანი — ამხ. კამო (პეტროსიანი).

14 ივლისს საღამოს 11 საათზე ამხ. კამო ველოსიპედით ჩადიოდა ვერის დაღმართზე — მარცხენა მხრით. მარჯვნივ მოდიოდა ავტომობილი, რომელსაც ფანრები ენთო. ამხ. კამომ შეცდომით ველოსიპედი მიაბრუნა იქითკენ, საითაც მობრუნდა ავტომობილი. ეს იყო ცირკთან. გაქანებული ველოსიპედი დაეჯახა ავტომობილს, რომელმაც წინა ფრთა ჰკრა ამხ. კამოს.

დატაკება იმდენად ძლიერი იყო, რომ ამხ. კამო შორს გადავარდა და თავით დაასკდა ფილაქანს. იმ წამსვე დაეკარგა ცნობა. ყელიდან სისხლი წამოსკდა.

აქედან იგი მიხეილის საავადმყოფოში წაიყვანეს, სადაც დილის სამ საათზე დალია სული ისე, რომ გონებაზე არ მოსულა.

განსვენებული იყო დაახლოვებით ორმოცი წლის".

ასეთი იყო ტფილისის 1932 წ. 15 ივლისის გაზეთებში გამოქვეყნებული პირველი მოკლე ცნობა ამხ. კამოს სიკვდილის შესახებ. აქასობაში სწრაფად იზრდებოდა იმ საშინელი მღელვარების ნიშნები, რომლითაც ბოლშევიკების პარტია გამოეხმაურა დაუვიწყარ ამხანაგის ასეთ შემთხვევით ტრაღიკულ, უაზრო სიკვდილს. არავის არ უნდოდა შეეიგებოდა კამოს სახელოვან ცხოვრების ამგვარ დასასრულს, იმ გმირი კამოსი, რომელიც უსაშინელესი, შავბნელი რეაქციის დროს ათასჯერ გადაურჩა პირდაღებულ სიკვდილს, რომელმაც ჯოჯოხეთური რეჟიმი გადაიტანა, როგორც მეფის თვითმპყრობელობის ციხეებში, ისე ევროპის საგიჟეებში, სადაც ყოველი ექიმი პროკურორის თანაშემწეობას ეწეოდა და საეჭვო დიაგნოზით პირდაპირ სალრჩობელაზე შეეძლო გაეგზავნა თავისი პაციენტი ამხ. კამო.

1922 წ. 18 ივლისს საღამოს 6 ნახევარ საათზე ტფილისის მუშათა სასახლის დარბაზი, მისი ვესტბიული და შესასვლელი უამრავი ხალხით იყო გაჭედილი. თავი მოეყარათ ყველა ადგილობრივ პარტიულ პასუხისმგებელ მუშაკებს. წარმოდგენილი იყვნენ: საქ. კ.პ. (ბ), მაშინ ჯერ კიდევ რ.კ.პ. (ბ)—ამიერ-კავკასიის სამხარეო კომიტეტი, საკავშირო საბჭო, საქართველოს ცაკი და სახკომსაბჭო, საქ. კ.პ. ც. კ-ტი ტ. კ-ი, საქ. პროფკავშირთა კომკავშირის ც. კ-ი და ტ. კ-ი წითელი არმია და სხვ. დასხვ.

შუა დარბაზში სდგას კუბო, მორთული ცოცხალი ყვავილებით, რომელსაც თავს ადგია საპატიო ყარაული. კუბოს და ბალდახინის გარეშემო მრავლისაგან მრავალი გვირგვინია.

**„დაუვიწყარი კამოს—ლენინისა და კრუპსკაიასაგან“**

**„პროლეტარული რევოლიუციის შეუცვლელ გუშაგს—რ.ს.კ.პ. (ბ) ც.კ-საგან“ და სხვ.**

სიტყვას ამბობენ ძველი რევოლიუციონრები, რომელთა თანამოაზრე იყო განსვენებული კამო: მცხოვანი ამხ. **ფ. მახარაძე, არაქელა უქუაშვილი** და სხვ.

**პუშკინის** ბაღში შადრევანის მახლობლად ვეებერთელა ხეებ ქვეშ დამზადებულია **კამოს** საფლავი.

სიტყვას ამბობენ აგრეთვე ამხ. ამხ. **სერგო ორჯონიკიძე, მიასნიკოვი, ნ. ნარიმანოვი, ბ. მდივანი, შ. ელიავა, ს. ქავთარაძე** და სხვ.

— ამ თვრამეტი წლის განმავლობაში ჩვენ ბევრჯერ შევხვედრივართ ერთმანეთს,—ამბობს ამხ. **ს. ორჯონიკიძე,**—და შენ არა ერთხელ გადაგიშლია ჩვენთვის შენი ბრძოლის გეგმები კაპიტალიზმის შესამუსრავად. ხშირად ეს გეგმები განუხორციელებელ ფანტაზიად / გვეჩვენებოდა... მახსოვს როგორ ელაპარაკებოდი შენ ამ გეგმებზე მსოფლიოს რევოლიუციის ბელადს ამხ. **ლენინს,** რომელსაც ასე ძლიერ უყვარდი შენ... როდესაც ამხ. **ლენინს** შევხვდები, არ ვიცი, რა ვუთხრა შენი დაღუპვის შესახებ. მოსკოვიდან ჩამოსული ამხანაგები გვისაყვედურებენ: **რათ არ გაუფრთხილდით კამოსო".**

სიტყვები დასრულდა, მშობლები, ნათესავები და მეგობრები ეთხოვებიან **კამოს** ნეშტს; ხორო და სამხედრო ორკესტრები ასრულებენ სამგლოვიარო მარშს. გაისმის სამჯერი სალუტი. **პუშკინის** სკვერის მოედანზე იმართება მუშათა საქმისათვის მებრძოლის ახალი საფლავი

ასე დაკრძალეს ამხ. **კამო.** მისმა სიკვდილმა შესძრა არა მარტო ამიერ-კავკასიის პარტიული ორგანიზაციები, არამედ ბოლშევიკთა ძველი გვარდიის ყველა მებრძოლნი. გაზეთები გავსილი იყო მოგონებებით ტრაღიკულად დაღუპული **ამხანაგის** შესახებ.

ამ სტრიქონების ავტორი აბოლოებდა თავის წერილს კამოს შესახებ. **„კამო ზღვას გადაურჩა და ცვარმა დაახრჩოო,"**—ამაზე ითქმის.

ჭეშმარიტად **„ულვთო იყო შენი სიკვდილი" ძვირფასო ამხანაგო და მეგობარო კამო. მაგრამ შენი საქმენი, მართლა, რომ საგმირონი, მუდამ სამაგალითო იქნება შენი ღრმად დამწუხარებულ ამხანაგებისათვის".**

სანამ გადავიდოდეთ ამ არა ჩვეულებრივი რევოლიუციონერის მოკლე დახასიათებაზე შეიძლება სწორედ აქ აჯობოს იმის გახსენება, თუ როგორ წარმოიშვა კამოს სახელწოდება, რომლითაც მას იცნობდენ არა მარტო ამხანაგები და მოქალაქენი, არამედ მეფის მთავრობის „ოხრანკა" და პოლიციის დეპარტამენტიც.

კამო 90-იანი წლების მიწურულში ჩამოვიდა ტფილისში, რათა მომზადებულიყო ჯარში ნებით შესასვლელად—„ვოლნოოპრედელიაუშჩად". მას ამზადებდა ამხ. **ჯუღაშვილი (სტალინი),** რომელმაც კამო სულ სხვანაირი ცხოვრების გზაზე დააყენა.

„ერთხელ,— გადმოგვცემს ამხ. **დ. სულიაშვილი,**—როცა კამო გაკვეთილს ამზადებდა ამხ. **სოსოსთან (სტალინთან),** ოთახში შემოვიდა ერთი ამხანაგი და რაღაცა საინტერესო ამბავს მოუყვა ამხ. **სოსოს.** კამო ამ დროს „დიქტანტს" წერდა; ის ამბავმა ძალიან დაინტერესა. მაგრამ რადგან ლაპარაკი რუსულ ენაზე იყო, რომელიც იმ დროს კარგად არ იცოდა, რაღაც ვერ გაიგო და მოუსვენრად კითხულობდა:—„კამო, სლუში, კამო"? რუსული სიტყვა Каму-ს ნაცვლად,—**რამაც** სიცილი გამოიწვია. ამის შემდეგ ამხ. სტალინი მას სხვა სახელს არ უძახდა თუარა **კამოს.** ეს სახელწოდება შერჩა მას და ბევრმა არც კი იცოდა მისი ნამდვილი სახელი.



ამხ. კამო

### ვინ იყო კამო

თავის სიკვდილის წინ დღით ამხ. **კამომ** შეავსო ანკეტა, რომელიც შეიცავს მისი როგორც რევოლიუციონერის ცხოვრების ძირითად მომენტებს. ეს დოკუმენტი, რომელიც თავის ფორმით თითქოს მშრალი და უსახური უნდა ყოფილიყო, კამოს ხელში არაჩვეულებრივ ნაირნაირად გაიშალა და აფერადდა.

იმ კითხვაზე, თუ რომელ ენას თვლის ანკეტ-ის შემავსებელი ამხანაგი დედა ენად,

# ᲒᲘ ᲙᲐᲛᲝ

## ᲐᲗᲘ ᲬᲚᲘᲡ ᲨᲔᲡᲠᲣᲚᲔᲑᲘᲡ ᲒᲐᲛᲝ)

კამო, ეროვნებით სომეხი, უპასუხებს: **ქართული.** კითხვაზე, სოციალური მდგომარეობის შესახებ — პასუხია: **რევოლიუციონერი.** კითხვაზე, თუ რა სპეციალობა იცის. კამომ უპასუხა იმავე ცნებით—რევოლიუციონერი, — რომელიც შეადგენდა მთელი მისი ცხოვრების აზრს არალეგალურ, ჭერ ქვეშ პერიოდში და რომელმაც აიძულა იგი ამდენი შრომა დაეხარჯა ელემენტარული და სამხედრო ცოდნის შესაძენად ოქტომბრის გამარჯვების შემდეგ. განიცადა თუ არა დევნასა და რეპრესიას პარტიულ მუშაობისათვის? პასუხი: დაჭერილი იყო ექვსჯერ, გაიქცა სამჯერ, ოთხჯერ მიესაჯა სიკვდილით დასჯა, რაც ოცი წლის კატორღით შეეცვალა.

### ᲐᲜᲙᲔᲢᲐ

1. სახელწოდება ბილეთის გამცემი ორგანიზაციისა.—მოსკოვის ორგან. კრ.-პრ. სარაიონო კომიტ.
2. გვარი. — პეტროვი (კამო), სახელი სიმონ. მამის სახელი —ივანე.
3. დაბადების წელი.—1882 წ. დედაენა ქართული.
4. სოციალური მდგომარეობა.—რევოლუციონერი.
5. განათლება.— სამკლასიანი სასწავლებელი.
6. რა სპეციალობა იცის.—რევოლუციონერი.
7. სამხედრო მომზადება.—არ მაქვს.
8. რა ენაზე ლაპარაკობს.—ქართულად, რუსულად და სომხურად.
9. კავკასიის და რუსეთის რა ადგილები იცის კარგად.—პეტროგრადი, მოსკოვი და მთელი კავკასია.
10. იყო თუ არა საზღვარგარეთ და სად.—ევროპის 19 სახელმწიფოში.
11. ოჯახური მდგომარეობა, ოჯახის წევრთა რიცხვი მის კმაყოფაზე. უცოლშვილო.
12. პარტიაში შესვლის დრო.—1901 წ.
13. რომელმა ორგანიზაციამ მიიღო.— რ.ს.დ.მ.პ, ტფილისის ორგანიზაციამ.
14. განიცადა თუ არა რეპრესია პარტიული მუშაობისათვის, როდის, როგორი.— დაჭერილი იყო ექვსჯერ, გაიქცა სამჯერ, მიესაჯა სიკვდილით დასჯა ოთხჯერ, რაც შემდგომ ოცი წლის კატორღით შეეცვალა.
15. შედიოდა თუ არა სხვა პარტიებში. რომელში, როდის—არა.
16. რომელ პროფკავშირებში ითვლებოდა.
17. მოკლე ცნობები რევოლიუციონური მოღვაწეობის შესახებ წითელ არმიაში, პროფკავშირებში, პარტიულ მუშაობაში:

1) არალეგალური ლიტერატურის ტრანსპორტისთვის ბათომში 1903—4 წ. წ. იჯდა ციხეში 10 თ. (გაიქცა), 2) 1905 წ. შეიარაღებული აჯანყებაში მონაწილეობისათვის 5-ჯერ დაიჭრა და დაპატიმრებულ იქნა 2 ნახევარი თვით (გაიქცა), 3) 1907—8—9 წ. წ. იარაღის და ასაფეთქებელ ნივთიერებათა ტრანსპორტის ორგანიზაციისათვის გერმანიაში დააპატიმრეს, იჯდა ბერლინის საპატიმროში და საგიჟეში 2 წ. ამასთან გადმოეცა რუსეთს, როგორც ავადმყოფი. რუსეთში, ტფილისში ისევ ციხე და საგიჟე 1909—911 წ.წ. (გაიქცა). 1912 წ. დააკავეს სოფიაში (ბულგარეთი). 5) თურქეთში— სტამბოლში დინამიტის გატანისათვის. 6) ტფილისში 1913 წ. გადაუწყვიტეს ოთხჯერ სიკვდილით დასჯა, რომელიც მანიფესტით შეეცვალა 20 წლის კატორღით. ამნისტიით განთავისუფლდა 1917 წ. 6 მარტს. 7) საქართველოში 1920 წ. 15 იანვრიდან იჯდა ციხეში 2 ნახევარ თვე, განთავისუფლებულ იქნა...

ასე თავისუფალი იყო კამო ბურჟუაზიული ქვეყნის ნაშთებისაგან. მას მოსდგამდა უალრესი მიზანთსწრაფვა, თავგანსაწირავად მუდამ მზადყოფნა, გაბედულება და ამავე დროს გაშმაგებული სიმტკიცე მტრის წინაშე თავის და თავის ამხანაგების დასაცავად. ამიტომ გასაკვირალი არაა, რომ კამოს, ამ, მაქსიმ გორკის თქმით, „უპოზო ადამიანის“ სახელის გარ შემო ლეგენდები შეიქმნა.

ეს ლეგენდარულობა, რომელიც თან ახლავს კამოს ჩვენ დრომდე, ძალიან ადრე დაიწყო როდესაც ნ.კ. კრუპსკაია იწყებს მოგონებას კამოსთან შეხვედრების შესახებ 1907 წ., ეს შტრიხი—კამოს გაბედულება, მზადყოფნა უკიდურეს ზომებისათვის, არაჩვეულებრივ გამოსვლებისათვის სჭვალავს მისი ნაამბობის ყოველ სიტყვას.




ამხ. კამოს პირადობის მოწმობა, დაწერილი ამხ. **ლენინის ხელით.**

„ჩვენ მუდმივი შესახვედრი ადგილი გვქონდა ტექნოლოგიური ინსტიტუტის სასადილოში. ეს ძალიან მოხერხებული იყო, რადგან სასადილოში მრავალი ხალხი მოდიოდა. ჩვენ არავინ ყურადღებას არ გვაქცევდა. აქ კამო მოვიდა მხოლოდ ერთხელ. მოხდენილ კავკასიურ ტანისამოსში გამოწყობილმა — მან მოიტანა ხელსახოცში გამოხვეული რაღაც მომსხო, ბურთის-მაგვარი საგანი. სასადილოში ყველამ დაანება თავი ჭამას და დაუწყეს თვალიერება არაჩვეულებრივ მნახველს. „ყუმბარა მოიტანა“—გაუელვა, ალბათ, უმრავლესობას თავში. მაგრამ ეს აღმოჩნდა არა ყუმბარა, არამედ საზამთრო. კამოს ჩამოეტანა ილიჩისა და ჩემთვის ძღვენი — საზამთრო და რაღაც დაშაქრული ნიგოზი. „დეიდამ გაახლათო“,— გვითხრა რაღაც მორცხვად და მოკრძალებით, ეს გასაოცარი გაბედულების ფოლადისებური ნებისყოფის მქონე შეუპოვარი მებრძოლი ამავე დროს იყო რაღაც არაჩვეულებრივ მოლხინე ადამიანი, ოდნავ გულუბრყვილო და მეტად მგრძნობიერი ამხანაგი. მას განსაკუთრებით უყვარდა ილიჩი, კრასინი და ბოგდანოვი. იყო ხოლმე ჩვენთან კუოკალაში. დაუმეგობრდა დედაჩემს, უამბობდა მას დეიდაზე, თავის დებზე. კამო ხშირად დადიოდა ფინეთიდან პიტერში. მუდამ დაქონდა თან იარაღი, და დედაჩემი ყოველთვის განსაკუთრებული მზრუნველობით აკრავდა მას რევოლვერებს ზურგზე.

კამო პეტერბურგში ჩამოვიდა თ.-აზნაურობის წინამძღოლის პასპორტით და ოცნებობდა იმაზე, თუ როგორ შესულიყო სასახლეში და მოეკლა მეფე.

### ᲙᲐᲛᲝᲡ ᲑᲐᲕᲨᲝᲑᲐ

კამოს სიკვდილის შემდეგ დარჩა ნაწყვეტები მისი ავტობიოგრაფიიდან, რომელსაც ის წერდა თავისი სიცოცხლის უკანასკნელ წლებში. მან მოასწრო გადმოეცა მხოლოდ ბავშობის ამბავი და თავდაპირველი რევოლიუციონური მოღვაწეობის რამდენიმე ეპიზოდი.

კამო, ჯერ კიდევ ბავშობისას, ადვილად ეოეგა ყველა იმ დაბრკოლებას, რომელსაც წრე და გარემო უქმნიდა მას რევოლიუციონური მუშაობის დაწყების გზაზე.

მისი ოჯახი მდიდარი იყო. მაგრამ ის ღარიბი ხელოსანი ხალხის ბავშვებს უახლოვდებოდა და მეგობრობდა. ამხ. სტალინის ერთი ფრაზა იყო საკმარისი, რომ კამოს ჭაბუკურ გულში სამუდამოთ ჩამწყდარიყო წრისაგან ნაკარნახევი მისწრაფება მხედრიონისადმი. მისი რევოლიუციური გზა და მომავალი საბოლოოდ გამოირკვა. მას ვერაფერი ველარ იჭერდა ძველ ჩარჩოებში, ველარაფერი ვერ აკავებდა—ვერც პირადი კავშირი და ურთიერთობა, ვერც დების უზომო სიყვარული. ვერც დახავსებული წარმოდგენა ოჯახური მოვალეობის შესახებ.

კამო დაიბადა 1882 წ. 15 მაისს ქ. გორში (ყ. ტფილისის გუბერნია). მშობლები მისი სასულიერო წოდებას ეკუთვნოდენ. მამით ბაბუა ლეგიონის მღვდელი იყო, მამა კი მოიჯარადრე.

კამო შვიდი წლის მიაბარეს მასწავლებელ ქალს, რომელთანაც მისი დებიც მეცადინეობდენ. შემდეგ იგი მიცეს სომხურ საქალაქო სასწავლებელში. ამ სასწავლებელში შესვლამდი,—ამბობს კამო,— კარგად ვიცოდი რუსული ენა. აქ სამი წლის განმავლობაში, არა თუ ვისწავლე რამე, ისიც კი დამავიწყდა, რაც ვიცოდი, სულ გადამავიწყდა რუსული ლაპარაკიც. ძალიან ცუდათ ვსწავლობდი. განსაკუთრებით არ მიყვარდა არითმეტიკა. ყოფაქცევაში სამზე მეტი არასოდეს არ მქონია.

მხოლოდ უფროს კლასებში,—განაგრძობს კამო, — შემიყვარდა ისტორია და გეოგრაფია. მომწონდა ომები და გმირები: ნაპოლეონი, ალექსანდრე მაკედონელი, კეისარი, კამბიზი, დარიუსი, რომელიც ბერძნებს ეომებოდა. ძალიან მიყვარდა საბერძნეთის ისტორია. ეს სიყვარული დიდხანს შემრჩა. როცა 1912 წ. მოვხვდი საბერძნეთში, უსაზღვრო სიყვარულით ვათვალიერებდი მას, შევტრფოდი დიდებულ ნანგრევებს, რამოდენიმეჯერ ვნახე პართენონი.

ცხრა წლის ვკითხულობდი მაინ-რიდს. ძალიან მორწმუნე ვიყავი და ვგალობდი საეკლესიო ხოროში.

თხუთმეტი წლის ვიყავი, როცა სტუდენტების გაცნობა დავიწყე. ქვეყნის პოლიტიკური ცხოვრების ავკარგის მე მაშინ არა გამეგებოდა რა, მაგრამ სტუდენტებს კი თანავუგრძნობდი.

1898 წელს სკოლიდან გამომაგდეს სიზარმაცისათვის და წავედი ტფილისში დეიდასთან.

ამ დროს ჩვენი ოჯახი გაღარიბდა და მე მინდოდა მოვმზადებულიყავი „ვოლნო-

ოპოზიციონერობით". გამოცდებისათვის მე სტალინი მამზადებდა. ერთხელ მეცადინეობის დროს მან მითხრა:

„უკეთეს შემთხვევაში, ოფიცერი გამოხვალ! დაანებე თავი გამოცდებს, სხვა საქმეს მოკიდე ხელი, ჯერ-ჯერობით კი ბევრი იკითხეო".

ის მაძლევდა ლიტერატურას. მახსოვს, ძალიან მომეწონა ზოლას „მეშახტეები", განსაკუთრებით ეანი.

ამ დროს მე აშკარა ნაციონალისტი ვიყავი. შემთხვევით ერთ შეგნებულ მუშასთან მომიხდა გამოლაპარაკება, რამაც სრულიად შემიცვალა მიმართულება. მან მითხრა: „ყოველ ერშია კარგი და ცუდი ადამიანები. აბა, მიიხედ-მოიხედე გარშემო: სახლები, თეატრები, ტაძრები სულ მუშების გაკეთებულია. ყოველ ქუჩა მათი მოკირწყლულია. და ისინი ცხოვრობენ ისე, რომ ვერ სარგებლობენ იმით, რასაც თითონვე ქმნიან მაშასადამე, მთელი ერი კი არ საჭიროებს ცხოვრების გაუმჯობესებას, არამედ მხოლოდ მისი ნაწილი, სახელდობრ მუშები ამის შემდეგ მე მალე გავსოციალისტდი..."

1902 წლის სექტემბერში კამოს მოუკვდა დედა, რომელიც მას ძალიან უყვარდა. ჩვენს ოჯახს,—განაგრძობს კამო,—რაც რამ გააჩნდა, მის მორჩენას გადაალია. ჩვენ მისი



კატასტროფის დროს დამსხვრეული ველოსიპედი, რომლითაც მიდიოდი კამო

კუბოს საყიდელი ფულიც აღარ გაგვაჩნდა. მე ამაზე ბევრს ვფიქრობდი: ჩვენ მდიდრები ვიყავით; ჩვენთან მოდიოდა ღარიბი ბიძა, მაგრამ ცედას არაფრის მიცემა არ უნდოდა მისთვის. ახლა დედა მოგვიკვდა და კუბოც არ გვაქვს მის დასამარხავად.

ჩვენი ტრაგიკული მდგომარეობა მე ბუნებრივად მეჩვენებოდა ბურჟუაზიულ წყობილებაში. ასეთი კატასტროფა მხოლოდ ამ წყობილებაშია შესაძლებელი. აი, მე მყავს ახლა ოთხი და,—ვფიქრობდი მე. ჩემი შრომით მე მათ კარგად მოვაწყობ ცხოვრებაში. მაგრამ ვინ მაძლევს იმის გარანტიას, რომ, როდესაც ისინი მოკვდებიან, მათ კუბოს საყიდელი ფული დარჩებათ. უკეთესი იქნება პროფესიონალური რევოლუციონერი და სოციალისტი გავხდე. დებს რაც მოუვა, მოუვიდეთ. უნდა მოვშორდე მათ..."

## პირველი ნაბიჯები. დაპატიმრება და გაქცევა

ამხ. კამო დაუახლოვდა სოციალ-დემოკრატიული მოძრაობის მოღვაწეებს და ასრულებდა მათს სხვადასხვა დავალებებს. ის კისრულობდა სხვადასხვა წრეებს შორის კავშირის გაბმას, მისამართების შეტყობინებას, არალეგალური ბიბლიოთეკების მოწყობას. არალეგალური ლიტერატურის გავრცელებას, პროკლამაციების დაყრას. 1903 წ. კამომ მოაგვარა არალეგალური სომხური წიგნების ბეჭდვის საქმე და მოაწყო სტამბა. ის მონაწილეობას ღებულობდა აგრეთვე სხვადასხვა დემონსტრაციებში, თეატრებში ყრიდა ფურცლებს და სხვ.

იმ ხანად ამხ. სტალინი ბათომში მუშაობ და ნობელის და როტშილდის ქარხნების მუშებს შორის. მას უნდოდა ამხ. კამო გადაეყვანა სამუშაოდ ბათომში, მაგრამ მარტის ამბების შემდეგ (მუშათა დემონსტრაციის დახვრეტა ბათომში 1902 წ., 9 მარტს) ამხ. სტალინი დაიჭირეს, კამო კი დარჩა ისევ ტფილისში.

მაგრამ აი კამო ბათომში წავიდა 1903 წ. და აქ იძულებული გახდა პირველად შეებიჯებია თვითმპყრობელობის ციხის კარებში. ამ დაპატიმრების შესახებ ჟანდარმერია შემდეგნაირად გადმოგვცემს: „1903 წ. 27 ნოემბერს, მატარებლის № 5 სად. ბათომში მოსვლის შემდეგ, ჟანდარმთა უნტერ-აფიცერმა ევტუშევსკიმ დაიჭირა კარგად ჩაცმული კაცი, რომელიც ამ მატარებლის მოყვა და რომელიც მან საეჭვოდ მიიჩნია.. უცნობს ხელში ქონდა პატარა ტილოს ჩამადანი და პატარა დაწნული კალათი, რომლებშიაც აღმოჩნდა 1073 ფურცელი რუსეთის სოციალ-დემოკრატიული მუშათა პარტიის კავკასიის კავშირის პროკლამაცია რუსულ, ქართულ და სომხურ ენაზე ერთდაიმავე შინაარსისა... შეპყრობილ ახალგაზრდა კაცს აღმოაჩნდა 1902 წლის პასპორტი № 93 ქ. გორის მცხოვრებ მღვდლის შვილი-შვილის სიმონ არშაკის ძე ტერ-პეტროსოვის სახელზე" და სხვ.

თვითონ კამო კი თავისი დაპატიმრების ფაქტს ასე გვიამბობს: „შემოდგომაზე უნდა წავსულიყავი სამუშაოდ ბათომში.. სამგზავროდ ამხანაგები მაძლევდნენ 25 მანეთს და ჩემი ანგარიშები მუდამ აკვირვებდა მათ, რომ ასე ცოტას ვხარჯავდი. ბილეთი ღირდა ოთხი მანეთი. იქით ბილეთს ვიღებდი, აქეთობას კი სკამის ქვეშ ვძვრებოდი და ისე მოვდიოდი. სადილს მხოლოდ ერთხელ ვჭამდი მთელი მოგზაურობის განმავლობაში და როგორც ყოველთვის, მშიერი ვიყავი ხოლმე... დაპატიმრებისას, გარდა ლიტერატურისა თან მქონდა მეტად სახიფათო წერილი. შეიძლოთ დაეჭირათ ის ამხანაგიც, ვის სახელზედაც იყო დაწერილი. საპოლიციო უბანში, სადაც პირველად მიმიყვანეს, ეს წერილი მე მოვიპარე მაგიდიდან და გადავყლაპე".

შემდეგ კამო გადაიყვანეს კამოს ციხეში სადაც ის ოთხი თვე იჯდა საცალკეო საკანში — „ოდინოჩკაში". ასეთ პირობებში გაქცევა შეუძლებელი იყო. კამოს დაჟინებითი მოთხოვნით, შემდეგ იგი გადაიყვანეს საერთო კამერაში. „საერთო კამერაში რომ მოვხვდი, კარგად დავათვალიერე იქაურობა,—ამბობს კამო.—ციხის ეზოს კედელი ძალიან მაღალი არ იყო, ასე, შვიდ არშინამდე იქნებოდა. ერთი მხრით გიმნაზია იყო, მეორე მხრით—ბულვარი. მე ვაგულიანებდი ამხანაგებს გასაქცევად, მაგრამ უკანასკნელნი მხოლოდ დამცინოდნენ... მიუხედავად ამისა, კამოს გადაწყვეტილება მტკიცე იყო. იგი კიდევ უფრო გამტკიცდა მას შემდეგ, რაც კამოს, სამი წლის კატორღა მიუსაჯეს.

მეგონა, დამიდგა ხელსაყრელი დრო.—გვიამბობს კამო. ბნელი ღამე იყო. წვიმდა ციხის წინ მარტო ერთი ჯარისკაცი იდგა. არც დასავლეთით და არც აღმოსავლეთით არც ერთი გუშაგი არ ჩანდა. ჯარისკაცს ნაბძანები ქონდა ესროლა, ვინც კი მიუახლოვდებოდა გალავანს. ვეცადე ავსულიყავი კედელზე, მაგრამ იქით ჟანდარმი დავინახე და უკანვე დავბრუნდი კამერაში.

მხოლოდ გაქცევაზე ფიქრი არ მიმიტოვებია. ვინაიდან მაციებდა ხოლმე, ექიმმა ნება მომცა დილდილაობით მესეირნა, ეზოში. ერთ მშვენიერ მზიან დილას ვსეირნობდი და ვუთვალთვალებდი ჯარისკაცის ჩრდილს. ის მახლობელ ეზოს ღობეებმა შეიყოლიეს. ტუსაღებს ეს ღობეები ძალიან მოჩვეული და განებივრებული ყავდათ, ვიხელთე დრო. მოვიკრიბე ძალღონე, გავექანე, გადავხტი კედელს და საშინლად დავეცი. ადგომა ძნელი იყო, მაგრამ მე მაინც მაშინვე წამოვდექი და დავიწყე ყურება, თუ სად იყო მცველი. ყოველთვის თან ვატარებდი ხოლმე პატარა სარკეს, ამოვიღე ჯიბიდან იგი, დავიზილე ლოყები, რომ ცოტა ფერზე მოვსულიყავი, გავისწორე ტანისამოსი და რაც შეიძლებოდა ფინჯად წავედი ქუჩის კუთხისაკენ. აქ ვიღაც ხალხში იდგა, მკითხა, რომელი საათიაო. მე კი ვთხოვე ეტლი მოეყვანა ჩემთვის.

ამ დროს ვხედავ, ორი კაცი მორბის ქუჩაზე. სადღა დავიმალო? ქუჩის მარჯვენა მხარეზე დავინახე ღია კარები და უყოყმანოდ შემთხვევისათვის მივუახლოვდი მათ. მაგრამ ყველაფერი კეთილად გათავდა. ისინი თურმე თავის საქმისათვის მირბოდნენ. მე მშვიდობიანად ჩავჯექი ეტლში და წავედი იმ მისამართით, რომელიც ციხეში მქონდა მიღებული. ამხანაგებს, რომელნიც იქ დამხვდნენ, ასე გაეხარდათ ჩემი დანახვა, რომ მეეტლისათვის ერთი მანეთის მიცემა უნდოდათ. მე ეს მათ არ ვაქნევინე, რომ რაიმე ეჭვები არ აღძრულიყო, და მივეცი, როგორც გავურიგდი—ექვსი შაური.

გაუპარსავი ვიყავი. საპარიკმახეროში წასვლა კი სახიფათო იყო. ამხანაგებმა მომიტანეს ტანი, წავისვი და სახე სრულიად გამეწმინდა, გამისუფთავდა.

არასოდეს არ დამავიწყდება ის წარმტაცი გრძნობა, რომელიც მე განვიცადე, როდესაც გალავანზე გადავხტი. მზე ანათებდა. ზღვა ლივლივებდა მახლობლად. თავისუფლება სრული თავისუფლება საპყრობილის შემდეგ! მინდოდა გაქცევა, მაგრამ გაქცევის მეშინოდა, მთლად ხედვად გადავიქეცი, სულ იმის ფიქრში ვიყავი, რომ არავის შეუნიშნივართქო. ასე ძლიერად, ასე სრულიად არასოდეს აღარ განმიცდია სიხარულის გრძნობა...



იმ ადგილის გეგმა საიდანაც ამხ. კამოს ხელმძღვანელობით გატაცებული იქნა სახაზინო ფული

ტფილისში რომ მოვდიოდი, იმ დღეს საეკლესიო დღესასწაული იყო. მატარებელი ავსილი იყო ქართველი თავადებით. უკრავდა მუსიკა. ყველანი შეზარხოშებული იყვნენ. მე მათ თავი გავაცანი იმერელ თავადიშვილად. დიდ პატივს მცემდნენ. მე კი ზურნაზე ვუკრავდი. როდესაც მივუახლოვდით ტფილისის სადგურს, ერთ თავადიშვილს დავენაძლევე, რომ ის ვერას გზით ვერ გაივლიდა მთელ პლატფორმას ზურნის დაკვრით. მას უნდოდა უსათუოდ ნიძლავი მოეგო, გასწია წინ ზურნით, ხალხი მას დაედევნა. მე კი ვისარგებლე არეულობით და ღრიანცელით, დავიქირავე ეტლი და მივიმალე. ყველანი, კითხულობდნენ სადაა თავადიო, თავადი კი გაქრა".

კამოს გაქცევისთანავე საქართველოს ყოველ კუთხეში დაიგზავნა პოლიციელთა და ჟანდარმთა ფიცხელი მოწერილობა, მაგრამ გაქცეულის კვალს ვერ მიაგნეს. კამო ტფილისში მოსვლისთანავე დაუყოვნებლივ ჩაება რევოლუციონურ მუშაობაში.

(გაგრძელება იქნება)

ეროვნული ბიბლიოთეკა

ანატოლ გიდაშ

# შემდეგ რა იქნება?

(წიგნიდან: „ახალშენები ყვირიან“)

დიახ, მე სახე მაქვს ფისზე უშავესი.
გამობურთული მაქვს მსხვილი ტუჩების ხორცი—
ნიუ-იორკში—ფარნების დამაბრმავებელ სინათლეში.
მე—როგორც შავი ხის ნამორი—
ვარ გადაგდებული და ვწევარ თოვლში.
ჩემზე უარი სთქვა ამერიკამ—დედინაცვალმა.
და თუ ჩემი ბოლმა
სიტყვაში ატირდება,
მე დაუზოგველად მდევნიან, მკლავენ.
პირუტყვთა ვაგონში ჩემ სხეულს ისვრიან:
„ზანგებისა და ძაღლებისათვის“.
კიდევ რა?
ყველაზე საცოდავი ქირა —მე.
ყველაზე ჭუჭყიანი სამუშაო—მე.
ოსტატის გულისწყრომა— მე,
მისი ცემა-ტყეპა—მე.
მე ვარ მიჩნეული პირუტყვზე ნაკლებად.
მთითხნიან ბუმბლით და კუპრით.
ქვებზე მიმათრევენ თოკით.
კიდევ რა?
მაგრამ შავ მატყლივით
ჩემი თმა იგრიხება,
მაგარი როგორც თუჯის მავთული.
მისისიპის ტალღები
ფეთქენ ჩემს ძარღვებში,
კასქვემა სიბნელეში.
იქ მისისიპზე
მოდენილ წინაპარმა
აღუთქვა ბატონებს
მკაცრი შურისძიება,
როცა მუშაობდა ბამბაზე სიცხეში.
გამსაკუთრებულ კანონებით
სეტყვავენ შტატები
ჩემს სხეულს — შავსა და ჟინიანს.
ავიტან ცემას, მუშაობას,
მცემონ და დამდაგონ,
და ლინჩის კანონით
სიკვდილით დამსაჯონ!
კიდევ რა?
და მაინც, სისხლიანები,
ჩვენ ერთად მივდივართ—
იანკებთან ერთად—აი ასე!
მივდივართ ქარხნების ჭიშკრებთან,
და მაინც მშივრები ერთად ველოდებით
იანკისთან ერთად—აი ასე!
გამხდარნი, ოფლიანნი,
ბოროტნი, უმუშევარნი —
მსგავსნი ერთმანეთის ერთად ველოდებით
უკანასკნელ აფეთქებას!
თეთრკანიანები, შავკანიანები
შერეულნი, ყვითლები
გავხდით ერთნაირი—ზედმეტ წამებისაგან.
მიპოვე, ამხანაგო, შენ მწუხარებაში—
და ჩემთან წამოხვალ გამარჯვებისაკენ.
ხათრი არ იციან თოფებმა—
ყველას დააწვენენ ერთად!
თეთრკანიანიც ელექტროს სკამზე
გაშავდება.
წვისგან მოკრუნჩხული,
ცოცხალი კიდევ!
შავკანიანებს და თეთრკანიანებსაც
სწვავენ ერთი ცეცხლით
ცხელი, ულმობელი ტყვიები.
შემდეგ რა იქნება?
ჩვენ გავანიავებთ
მისისიპის შეტევით
მრისხანე ნიუ-იორკის
ოქროს მძიმე კოშკებს.
და ჩვენი თითები აკანკალებენ
თავისი ალერსით მის მსუქან ყანყრატოს.

ჩვენ გავანიავებთ მეშვიდე თაობამდე
მისი სართულების
დამპალ სიმაღლეებს.
ამაოდ იქნებიან ჩვენ წინ დაჩოქილი,
ჩვენი დანების წინ ავი მტაცებლები!
ნიუ-იორკის ქოფაკებს —
წითლებს სისხლისაგან—
დავიჭერთ და ქალას
მოვაძრობთ ერთბაშად.
სასახლეების და
კოშკების კონსტრუქცია
დადნება ალში—ერბოზე ადვილად.
დადნება ქალაქის კუნთები
ჩვენი ხანძრების ხვევნაში.
და ერთი ნაკუწი გასვენებისათვის
ცათამწვდენებისგან აღარ-კი დარჩება.

ნიუ-იორკი აენთება შავ ჩირაღდანივით
და გზას უკანასკნელს
ყველას გაგვინათებს—
ასე!
აი ასე!
შემდეგ რა იქნება?
შემდეგ?
შემდეგ რამდენიმე მხიარულ წელში
ჩვენ, მებრძოლები,
თანმაგარი ბიჭები—
ავაშენებთ საძაგლობისაგან
გაწმენდილ მიწაზე
ჩრდილოე ამერიკის
შეერთებულ
სოციალისტურ შტატებს.

თარგმ. ვალერიან გაფრინდაშვილის

ერნსტ ტოლლერ

# პატიმარი და სიკვდილი

(წიგნიდან: „სპატიმროს სიმღერები“)

მეზობლათ, საკანში მყოფს—
ვალტინ გარტიგს.

## პატიმარი ამბობს:

შავო სიკვდილო, შენზე ვფიქრობ და ჩემს გარშემო,
თითქოს იმსხვრევა საპატიმროს რუხი ბჭეები.
ფანჯრები ჭგლეჯენ ხარიხებათ ჩაჭდობილ რკინებს
და ქვის კედლებზე ასკდებიან თეთრი დღეები.
სული გაჰკივის: სიცოცხლეო ნათელ-მზიანო,
ძარღვებში კვლავ სცემს სისხლის ტალღა დაუძლეველი.
ვით ახალ შობილს, ატოკებულს, უსუსურ ყრმასა—
ისე მომიხმობს ტყეთა სიმწვანე შეურხეველი.
მსურს შევუერთდე მიწის სითბოს, მის სიმხურვალეს!
ო, რომ შემეძლოს გადაფრენა ფრთების შრიალით;
სილაჟვარდეში, უფსკრულებზე, სივრცეებს იქით—
სადაც არ არის სიდუხჭირე ბედის ტრიალით!
ვისაც არ ძალუძს შეებრძოლოს შენს ტლანქ კანონებს,
შენ მას მეგობრობ, მე კი მიყვარს ყოფნა ზვიადი.
სიცოცხლე მინდა მხიარული, მე მას ვუყვარვარ,
ჩამომაცალე ბნელი რიდე, შავო წყვდიადი!

მინდა სიცოცხლის ტკბილი ჰანგი ჩემში მღეროდეს,
რომ მიწის ხოტბა არასოდეს აღარ წყდებოდეს!

## სიკვდილი ამბობს:

სიცოცხლე გინდა? მაშ რათ მეკრძალვი, რათ ფითრდები,
როცა პირისპირ შემომცქერი სმენად ქცეული?
შენ ჩემს ფრთებ ქვეშა, სამუდამო ხიმშვიდეს ჰპოვებ,
მოგალხენს ჰანგი—შენს საალერსოდ გამოწვეული!
მკვდარია განა—რიჟრაჟისას ხუთა რტოები,
ყვავილი სწრაფად მოწყვეტილი, თესლით გავსილი?
და ან კლდეები ქარიშხალით გადანათელი,
სამარის მიწა თაობებზე საბნათ წაყრილი?!
შენ შემცდარი ხარ!—ჩემში ჰფეთქავს სიცოცხლის ძალა,
სიკვდილზე, მხოლოდ შენ ზღაპრები მოგისმენია!
მე—უკვდავება, მისწრაფება, სრულქმნა ყოვლისა,
განა უბეში სასოებით არ მისვენია?!

მე—მგზავრი ვარ! იარებია ჩემი სავალი—
ვინაც მივილე, მან საუკუნოდ დახუჭა თვალი!

თარგმ. პოლიო აბრამიასი

ე. გარდე

# კიდევ 810.000

## („დნეპროსტროი"-ს

ჯერ პატარა ცნობა:

**„კიჩკასი, 1 მაისი. 1 მაისს საღამოს 6 ს. 30 წ. დნეპრის ჰიდროელსადგურის პირველი გენერატორიდან გაშვებულია სამრეწველო დენი. პარტიისა და მთავრობის წინაშე აღებული ვალდებულებანი დნეპროსტროის კოლექტივმა შეასრულა.**

**მშენებლობის უფროსი ა. ვინტერი.**

**პარტკომის მდივანი ლეიბენზონი.**

**მშენებელთა რაიკომის მდივანი**

**ბროვკო".**

ამრიგად საბჭოთა კავშირის პროლეტარიატმა მუშათა კლასის საერთაშორისო სოლიდარობისა და ბრძოლის დღე აღნიშნა ახალი უდიდესი გამარჯვებით ეკონომიურ-ტეხნიკურ ფრონტზე. დნეპრი, საბჭოთა კავშირის ერ თერთი უდიდესი მდინარე, რომელიც ათასეული წლების განმავლობაში



ამხ. ლეიბენზონი

პარტკომის მდივანი

უქმად მიაგორებდა თავის ზვირთებს შავ ზღვაში, დნეპრი რომლის წინაშე უძლური გამოდგა ძველი რუსეთის ტეხნიკა დაწყებული „ეკატერინე დიდის" და ნიკოლოზ პირველის დროიდან საბჭოთა ხელისუფლებამდე, დნეპრი, რომელიც ასე წარმტაცათ აქვს აღწერილი გოგოლს წყნარი და ავი ამინდის დროს, ურჩი დნეპრი, რომელსაც არა ერთი ასეული სიცოცხლე შეუწირავს, მიჯნა, სადაც აჩერებდნენ თავის გაქაფებულ ცხენებს პეჩენეგთა და თათართა ურდოები, სადაც თავშესაფარს პოულობდა თავისუფალი კაზაკობა—ზაპოროჟელები, რომლებიც ძილს უფრთხობდნენ დიდმპყრობელურ პანების პოლონეთს და მუქარის წერილებს უგზავნიდნენ თურქების ხონთქარს,—ეს დნეპრი დღეს ბოლშევიკების პარტიის სურვილით, ლენინური პარტიის დროშების ქვეშ დარაზმული მუშებისა



ამხ. ზუბენკო

კომკავშირის რაიკომის მდივანი.

და სპეციალისტების ხელით ჩამწყვდეულია რკინა-ბეტონის არტახებში, დამორჩილებულია, რომ სოციალისტურ მშენებლობას მისცეს 800.000 ცხენის ძალის ენერგია, რომ მაცოცხლებელი ელექტრო-სისხლი მიაწოდოს ახალ სოციალისტურ გიგანტებს, რომ თავისი წყლებით მორწყოს სოციალისტური ველბის ათასეული ჰექტარები და, დაბოლოს, 60 მეტრიან ჯებირით დაგუბებულმა ღრმად დაჰფაროს უზარმაზარი ლოდები, რომლებიც საშინელებას წარმოადგენდნენ ნაოსნობისათვის, და თავისი ზურგით ატაროს ბოლშევიკური გემები მთელი თავისი ორიათასკილომეტრიან მანძილზე.

როცა დნეპროსტროის მშენებლობა იწყებოდა, ჩვენი მტრები მას თვლიდნენ ბოლშევიკების მორიგ ფანტაზიად. მათ არ სჯეროდათ, რომ ბოლშევიკური რუსეთი, რომელიც მხოლოდ აყენებდა მოწინავე კაპიტალისტური ქვეყნების დაწევას ტეხნიკურად და ეკონომიურად შესძლებდა იმ უამრავ დაბრკოლებათა გადალახვას, რომლებიც წინ ეღობებოდა ამ გიგანტურ მშენებლობას. ამერიკელი სპეციალისტები, რომლებიც მოწვეული იყვნენ კონსულტახტებად, თვლიდნენ, რომ ამერიკული ტეხნიკის გამოყენებით დნეპრის ელსადგურის მთავარ სამუშაოთა დამთავრება შეიძლება დაახლოვებით 1934 წლის დამდეგისათვის, მაგრამ ბოლშევიკები დაეუფლენ ამერიკულ ტეხნიკას, ბოლშევიკურად ბევრი რამ ახალი შეიტანეს მასში და მოწინავე ტეხნიკის გამრავლებით სოციალისტურ ენტუზიაზმზე მსოფლიოში ეოთ-ერთი უდიდესი ჰიდრო-ელსადგური დაამთავრეს ამერიკელ სპეციალისტების მიერ დანიშნულ ვადაზე ბევრათ ადრე.

ადამიანები ქმნიდნენ ტეხნიკის ამ საოცრებას და იზრდებოდნენ მასთან ერთად, იმსჭვალებოდნენ გამარჯვების ნებისყოფით, ხდებოდნენ საბჭოთა კავშირის მრავალ ათეულ მილიონიან მშრომელთა კოლექტივის შეგნებულ წევრებათ, საშინელ ყინვიან ღამეებში, წვიმაში და თოვლჭყაპში, როდესაც დნეპრიდან მონაბერი ცივი ქარი ავთარივით გლეჯდა ყველაფერს, მებეტონეთა ბრიგადები ახდენდნენ სოციალისტური შრომის სასწაულებს, რადგან იცოდნენ, რომ წუთის დაყოვნება უდრიდა კვირას, საათის—თვეებს, დღის კი წელიწადს.

დნეპრიც ურჩობდა, ასე მორჩილად როდის სთმობდა ავზნიანობას. 1928 წელს მან თითქო უკანასკნელად სცადა თუ რას მოუტანდა შებრძოლება რკინისა და ბეტონის არტახებთან, მთელი თავისი ძალებით მოაწვა აღმართულ ზღუდეებს და 170 მეტრის სიგრძე ფოლადის კედელი, სიმაღლით 5 სართულიანი სახლის ოდენა, მთელი დანადგარებით და სარელსო გზით, რომელიც მასზე იყო, თვალის დახამხამებაში შთანთქა. ეს იყო დნეპრის მარჯვენა ნაპირზე. მარცხენა ნაპირზე დნეპრმა ფარული იერიშები ამჯობინა, ჯებირს ნელ-ნელა ძირი გამოუთხარა და წყლისგან განთავისუფლებული 150.000 კუბ. მეტრიანი ქვაბული კვლავ წყლით გაავსო.

ორი თვე დასჭირდა დნეპრის ამ შებრძოლების შედეგების ლიკვიდაციას, მაგრამ ამან მუშაობა გეგმის ვარაუდთან შედარებით მხოლოდ 19 დღით შეაფერხა. მუშა-



ამხ. ალექსანდროვსკი

„დნეპროსტროი"-ს პროექტის ავტორი.

ობის ბოლშევიკურმა ტემპებმა ორი თვის შეფერხება საბოლოო ანგარიშით 12 დღემდე დაიყვანეს.

ეს იყო დნეპრის უკანასკნელი შებრძოლება.

მილიონამდე კუბ. მეტრმა ბეტონმა მაგრათ შებორკა იგი.

აი ზოგიერთი ციფრები დნეპროსტროის სამუშაოთა მასშტაბის დასახასიათებლად: 12.000.000 კასრა ცემენტი — ჯებირისა და ჰიდროელსადგურისთვის, ჩამწკრივებული რიგში დაფარავდა გზას ხარკოვიდან ბერლინამდე; მილიონზე მეტი კუბომეტრი ბე-



ამხ. ვინტერი

მშენებლობის უფროსი.

ტონი, ბეტონის მაგიერ, რომ აგურები ეხმარათ, საჭირო იქნებოდა ერთ მლიარდამდე აგური,—ხუთ-ხუთათ გამწკრივებული რიგში. ეს აგურები სარტყელათ შემოერტყმებოდნენ დედამიწას; დნეპროსტროის თითეული ფარი თავისუფლად დაიტევს გლეხის კარგად მოწყობილ კარმიდამოს ყველა შენობებით; ყველა ტვირთები, რომლებიც დნეპროსტროისთვის გაიგზავნა, მოითხოვდა მატარებელს, რომელიც დაიკავებდა გზას მოსკოვიდან ვლადივოსტოკამდე; ჯებირის სიმაღლე დნეპრის ზევით ცოტათი დაბალია ვიდრე ივანე დიდის სამრეკლო მოსკოვში, და, დაბოლოს, როგორც შეჯამება ყველა ამ სხვადასხვაგვაროვან ციფრების—300.000.000 მანეთი ღირებულება მთელი დნეპროსტროისა ჯებირით, ჰიდრო-ელსადგურით, გადამცემი ხაზებით, ქვესადგურებით და ახა-

# ცხენის ძალა

## ამუშვების გამო)

ელექტრონული ბიბლიოთეკა

ლი სარკინისგზო ხიდებით მოთვინიერებულ დნეპრზე.

რას აძლევს დნეპროსტროი ჩვენს სოციალისტურ სამშობლოს? დნეპროსტროი—ეს პირველყოვლისა, როგორც ვსთქვით, არის 800.000 ცხენის ძალის ენერგია.

ელექტრობა კი არის სოციალიზმის ტეხნიკა, არ არის ტეხნიკის არც ერთი დარგი, სადაც ელექტრობას არ გამოუწვევია რადიკალური ცვლილებები, არ შეუქმნია, ახალ ნედლეულის გამოყენების შესაძლობლობა, არ გამოუწვევია ტეხნოლოგიური პროცესების გარდაქმნა.

ქიმიაში ელექტრობამ გამოიწვია მრავალ ათეულ ახალ ნედლეულ მასალების გამოყენება, სულ სხვანაირ საფუძველზე გარდაქმნა ქიმიური პროცესები, შექმნა ქიმიის მთელი რიგი ახალი დარგები; სასოფლო მეურნეობაში ელექტრობა ახდენს სრულ გადატრიალებას, ქმნის ტეხნიკურ ბაზას მსხვილ სასოფლო-სამეურნეო ფაბრიკა-გიგანტებისთვის; სამრეწველო ტეხნიკა გადაჰყავს თითქმის სრული ავტომატიზაციის გზაზე. წარმოუდგენელია მთელ იმ აურაცხელ შესაძლებლობათა ჩამოთვლა, რომელსაც, ელექტრობა ქმნის მთელი სახალხო მეურნეობისათვის, მაგრამ ქმნის მხოლოდ პროლეტარული დიქტატურის ქვეყანაში, მხოლოდ სოციალიზმის მშენებელ ქვეყანაში, რადგან კაპიტალიზმის ქვეყნებში დიდი ხანია განვლო იმ დრომ, როცა იქ კიდევ შეიძლებოდა დნეპროსტროის მგვასი გიგანტების ძებნა. ეს დრო სამუდამოთ ჩაბარდა ისტორიას. ჰქრება ბრძმედები *) იხურება ფაბრიკა-ქარხნები, ეცემა ელექტროენერგიის გამოყენების მრუდი. მთელს მსოფლიოში, ერთად-ერთი ქვეყანაა, რომელიც არ გრძნობს განმანადგურებელი ეკონომიური კრიზისის მსახრავ ხელს ეს არის საბჭოთა კავშირი, რომელიც არ კმაყოფილდება დნეპროსტროებით და სოციალიზმის მშენებლობის მეორე ხუთწლედში ითვალისწინებს ახალ ელექტრო გიგანტების აგებას ელექტრო-ენერგიის მისაწოდებლად ახალ სოციალისტურ გიგანტებისთვის.

დნეპროსტროის მაგალითზე ჩვენ დავინახავთ, თუ რას მისცემენ ეს მომავალი ელექტრო-გიგანტები ჩვენს სახალხო მეურნეობას.

800.000 ცხენის ძალა, რომელსაც ჩვენ მოგვცემს დნეპრის ჰიდრო-ელსადგური, გამოჰკვებავს დნეპრის გიგანტურ კომბინატს რომლის მთავარი ნაწილი იქნება მეტალურგიული ქარხანა, რომელიც წლიურად მოგვცემს 1.250.000 ტონა თუჯს მაღალხარისხოვანი ფოლადის დასამზადებლად; კოქსი თუჯის გამოსადნობათ მიღებული იქნება კომბინატის კოქსის ქარხნიდან (1.300.000 ტონა მეტალურგიული კოქსი წლიურად); კოქსის დამზადების პროცესში მიღებული კოქსის გაზი გადაეცემა ქიმიურ ქარხანას, სადაც მისგან მიიღებენ მთელ რიგ მასალებს სასუქების. ბალებავების, ასაფეთქებელ ლად, შემდეგ კი გამოიყენებენ, ბრძმედებში, როგორც სათბობ მასალას. იქვე შენდება შენადნობთა ქარხანა 80.000 ტონა ფერომარგანეცის, 20.000 ტ. ფერო-სილიციუმის, 4000 ტ. ფერო-ხრომის, 1,6 ათას ტონა ფერო-ვობრამის დასამზადებლად. ყველა ეს შენადნობები საჭიროა იმ 1.1000.000 ტ. მაღალხარისხოვანი ფოლადის მისაღებათ, დასამზადებლად, რომელიც უნდა მისცეს ჩვენს სახალხო მეურნეობას „ზაპორო-



ამხ. ვედენეკი
მთავარი ინჟინერი.

უსტალის“ ფოლადის ქარხნებმა. ალიუმინიუმის კომბინატი, რომელიც წლიურად დახარჯავს დნეპრის ჰიდრო-ელსადგურის 1000.000 კილოვატს, წლიურად მოგვცემს 20.000 ტ. ალიუმინს.

სოციალისტური სახალხო მეურნეობისათვის არ უნდა დაიკარგოს არაფერი. ამიტომ კომბინატი შეიცავს მთელ რიგ დამხმარე ქარხნებს, რომლებიც გადაამუშავებენ კომბინატის ძირითადი დარგების ნარჩომებს. ამ გზით წლიურად მიღებული იქნება: 2 ნახევარ მილიონი კასრი ცემენტი, 30.000.000 ც. ჩვეულებრივი აგური, 20.000 ტ. კირი 150,000 ტ. ცეცხლგამძლე აგური და სხვ

ამასთან ერთად დნეპრის ჰიდრო-ელსადგურის ენერგია იქნება ყველაზე იაფი მთელს მსოფლიოში 0,6 კაპ. კილოვატი.



ამხ. დულკინი
დამკვრელი მუშა.

ბოლშევიკური ტემპები იმარჯვებენ. საბჭოთა ქვეყანა ბოლშევიკების მეთაურობით ეუფლება მოწინავე ტეხნიკას. ამ დაუფლების შედეგია დნეპროსტროი და სხვა სოციალისტური გიგანტები. წინ კი — მოგვლის მშენებლობა კიდევ უფრო დიდი გიგანტების. ბურჟუაზიული სამყარო, ჩვენი მტრები, იძულებული არიან აღიარონ ჩვენი უდაო გამარჯვებები:

**„სრულიად მოულოდნელია ელექტრომშენებლობის წარმატებები,—სწერს „ბერლინერ ტაგებლატ“. — დნეპროსტროი, ეს გიგანტური, ელექტრო-სადგური, რომლის გეგმებს უკვე მრავალი წლის წინათ ადგენდნენ და რომლის აგებას განუწყვეტლივ სდებდნენ აუარებელ ხარჯებს და არარენტაბელობის გამო, უახლოვდება თავის გეგმაშეწონილ დამთავრებას. დნეპრი ნაოსნობისათვის გამოსადეგი ხდება შავ ზღვამდე. იქ იქმნება ახალი ქალაქები.**

**თუ ამერიკა იყო განუსაზღვრელ შესაძლებლობათა ქვეყანა, საბჭოთა რუსეთი არის წარმოუდგენელ შესძლებლობაჩვენი თვალსაზრისითაც კი აღიარების ღირსია“.**

**„ათასი წლების განმავლობაში იცვლის ველური დნეპრი თავის კალაპოტს ხან მარჯვნივ, ხან მარცხნივ, ურჩი ყველას მიმართ. — სწერს „ალგემაინე ილიუსტრირე ცაიტუნგ“.—ამაო აღმოჩნდა ამ სტიქიის ალაგმვის, დნეპრის კლდეებში მომწყვდევის ყველა ცდები. ეკატერინე მეორემ შესძლო პუგაჩოვის გლეხების აჯანყების ჩაქრობა, მაგრამ დნეპრის წინაშე ისიც კი უძლური აღმოჩნდა. დნეპრმა ის დაამარცხა. მდინარეს არა ერთხელ ნაფოტებათ უქცევია ყველა საინჟინერო ნაგებობანი, რომლე-**



ამხ. ტეპლოვი
ერთ-ერთი საუკეთესო დამკვრელი.

ბიც მიზნად ისახავდნენ მის მოთვინიერებას, ყველაფერს საბავშო სათამაშოების ვით ამსხვრევდა.

უზარმაზარ კლდეებს შორის აღვართქაფებული მდინარე არ ითმენდა არავითარ „რეფორმებს“.

მაგრამ ახლა მოხდა სასწაული! რევოლუციის ტიტანურმა ძალამ, რომელმაც დაამხო რუსეთის ძველი წყობილება და ათასწლოვანი ჩაგვრა, ძველი დნეპრიც დაიმორჩილა, აიძულა იგი შეეცვალა კალაპოტი“.

რასაკვირველია, ეს ბურჟუაზიული გაზეთები, რომლებიც იძულებული არიან ანგარიში გაუწიონ ჩვენს გიგანტურ მიღწევებს ტეხნიკურ ეკონომიურ ფრონტზე, არაფერს ამბობენ იმ პირობებზე, რომლებიც განსაზღვრავენ ამ ჩვენს წარმატებებს იმ დროს, როცა კაპიტალისტური მსოფლიო ეკონომიური კრიზისის გამოუვალ ჩიხში იხრჩობა.

ამგვარი პარალელის გავლება როდია მათთვის ხელსაყრელი, პოლიტიკურად.

ე. ჭ—ძე

ეროვნული ბიბლიოთეკა

# ეგვიპტის მონო

შესრულდა ინგლისის მიერ ეგვიპტის დაპყრობის 50 წ. ამასთან დაკავშირებით ინგლისის იმპერიალისტური პრესა სავსეა ეგვიპტეში ინგლისის „ბრძნული“ პოლიტიკის ქებათქებით და კმაყოფილებას გამოსთქვამს იმის გამო, რომ ინგლისმა ორმოცდაათი წლის განმავლობაში შესძლო თავისი ბატონობის შენარჩუნება ამ უმდიდრეს ქვეყანაში, რომელიც ამასთანავე წარმოადგენს კარებს გზაზე ინდოეთისა და საერთოდ აზიისაკენ.

ამ „სახელოვან იუბილესთან“ დაკავშირებით ინტერესმოკლებული არ იქნება გავიხსენოთ თუ როგორ და რა გზებით ჩაიგ

ამ დროიდან ინგლისი ფრთხილად ადევნებდა თვალყურს, რასაც შეეძლო ნილოსის ველზე მდგომარეობის შეცვლა. მართალია, საფრანგეთმა დროებით მაინც ხელი აიღო ეგვიპტის შემოერთების ფიქრზე, მაგრამ მისი ემისარები ზოგი ხუცების და ზოგი წვრილ-ქალაქო ტანსაცმელში გამოწყობილი, ზოგი ჯვარით და სახარებით, ზოგი ოქროთი სავსე ქისით, ინჟენერის დიპლომით ან არქეოლოგიური გამოკვლევებისათვის საჭირო წერაქვით ხელში მოეფინა პირამიდების და ფარაონების ქვეყანას, რომ ნაპოლეონის მიერ ეგვიპტეში შეტანილი ფრანგული გავლენა არ მომკვდარიყო.

ევროპიელი მოგზაურები და მკვლევარები განცვიფრებაში მოჰყავს ისმაილის მმართველობის ხანაში ეგვიპტეში შესრულებულ სამუშაოთა მასშტაბს: 112 სარწყავი არხი, სიგრძით 8400 ინგლისური მილი; რკინის გზების ქსელის გაფართოება 275-დან 1185 ინგლ. მილამდე, ტელეგრაფის ხაზების გაყვანა 5000 მილის მანძილზე, 430 ხიდის აგება (მათ შორის გეზირის ხიდის, რომელიც დიდი ხნის განმავლობაში მსოფლიო სახელით სარგებლობდა); ნავთსადგურის მოწყობა ალექსანდრიაში; წყალსადენის გაყვანა ალექსანდრიაში და ქაირში; 15 შუქურას მოწყობა; 68 შაქრის ქარხნის გახსნა; უზარმაზარი ახალი შენობების აგება ქაირში და სხვა ქალაქებში. 1,25 მილიონი აკრი წინად უვარგისი მიწების გამოყენება აგრიკულტურულ ღონისძიებათა შედეგად, და, დაბოლოს, სუეცის არხის გაყვანა.

სპეციალისტების გამოანგარიშებით ყველა ეს სამუშაოები დაჯდა არანაკლებ 460 მილიონი ოქროს მანეთისა. არა ერთი ათეული მილიონი ოქროს მანეთი დახარჯა ხელგაშლილმა ხედივმა თავის პირად საჭიროებებზე, თავისი რეზიდენციის კეთილმოწყობაზე, სასახლის გამშვენიერებაზე, მოგზაურობაზე და მსოფლიო ნადიმებზე.

როცა 1869 წელს დამთავრდა სუეცის არხის გაყვანა, ისმაილმა ამ ზეიმზე მოიწვია მთელი მსოფლიოს „გვირგვინოსნები“ და ყველა ზომები მიიღო იმისათვის, რომ, როგორც მასპინძელს „სირცხვილი არ ეჭამა“ *). 50.000.000 ოქროს მანეთი დაუჯდა ეგვიპტის მშრომელებს ეს ზეიმი.



1928 წ. ზაფხული. ნაციონალური რევოლიუციით დაშინებული ევროპიელები გარბიან ეგვიპტიდან.

დო ხელში ინგლისმა ეგვიპტე. ჩვენთვის, რომლებიც ვართ კაპიტალიზმის ლპობის და გახრწნის მოწამე, მოწამე იმის, თუ როგორ სცდილობს იმპერიალიზმი მსოფლიოს ახალი გადაყოფით გაახანგრძლივოს თავისი არსებობა, მოწამე იმის, თუ როგორ ვერაგულად და ყაჩაღურად დაიპყრო იაპონიამ მანჯურია, ეგვიპტის ხვედრი გაგვახსენებს ბევრს სურათს, რომელიც ამჟამად ჩვენს თვალწინ ხდება და დაგვანახვებს, რომ იმპერიალიზმი და კერძოდ ინგლისის იმპერიალიზმი 50 წლის წინადაც იყო არა ნაკლებ ვერაგი, გაიძვერა და ყაჩაღური, ვიდრე ახლა არის.

„ეგვიპტისთვისო,—სწერს ბურჟუაზიული ისტორიკოსი ედუარდ დრიო,—დიდი უბედურება აღმოჩნდა ის, რომ იგი მოექცა გზაზე ევროპიდან აზიისაკენ და ამის წყალობით მიიპყრო ევროპის სახელმწიფოთა ხარბი ყურადღება.

ნაპოლეონის ლაშქრობის შემდეგ ეგვიპტეში, საფრანგეთი ბუნებრივათ თვლიდა თავისად ამ ტერიტორიას, მიუხედავად იმისა, რომ ნაპოლეონის ექსპედიცია მარცხით დამთავრდა და ფარაონების ქვეყანა ნომინალურად ისევ სულთანის იმპერიის ფარგლებში დარჩა.

მაგრამ საფრანგეთის ზარბაზნების გუგუნმა ეგვიპტის მმართველ კლასებს თვალი გაახელია იმ საფრთხეზე, რომელსაც ქმნიდა მისი გეოგრაფიული ადგილმდებარეობა დიდ გზაზე ევროპიდან აზიისაკენ. ეგვიპტის ხედივები (სულთანის მოადგილე) გაფაციცებით შეუდგნენ ეგვიპტის არმიის შექმნას, გზების გაყვანას და ეგვიპტის ფარგლების გაფართოებას.

მაჰომედ-ალის დროს დაწყებული ეგვიპტის ეკონომიური და პოლიტიკური აღორძინება, გამათავისუფლებელი სულთანის გავლენისაგან, გაძლიერებულის ენერგიით გრძელდებოდა ისმაილ-ფაშის დროს.

ეგვიპტის ეს ხედივი ოცნებობდა ეგვიპტის ნაპოლეონ მესამეთ გახდომაზე, თავისი კარის და ტახტის სიდიადეზე, ეგვიპტისათვის ძველი სახელისა და დიდების დაბრუნებაზე, რასაკვირველია ყველაფერი ეს ეგვიპტის მშრომელი მასების ხარჯზე. შეერთებულ შტატებში დაწყებულმა სამოქალაქო ომმა ერთი-ორად გაზარდა ეგვიპტის ბამბის ექსპორტი და 2-3-ჯერ ასწია მისი ფასი. ასეთ პირობებში, ისმაილის მიერ დაწყებულ საირიგაციო სამუშაოებს უდიდესი მნიშვნელობა ჰქონდა ეგვიპტის ეკონომიური მდგომარეობისათვის.

თავისთავად ცხადია, რომ წვრილი მიწათმოქმედების ქვეყანა ეგვიპტე თავისი საშუალებებით, ვერავითარ შემთხვევაში ვერ შესძლებდა ამ გრანდიოზული ხარჯების დაფარვას. მართალია, ისმაილმა ყველა ზომები მიიღო შემოსავლის გასადიდებლად:

არაჩვეულებრივად გაადიდა ყოველგვარი გადასახადები, გადასახადების შეტანის წასახალისებლად სამუდამოდ 50 პროცენტით შეუმცირა გადასახადის ნორმები იმათ, ვინც ერთდროულად შეიტანდა ხვედრი გადასახადის ექვსმაგ რაოდენობას,—მაგრამ ყოველივე ეს წვეთი იყო ზღვაში ასეულ მილიონებთან შედარებით, რომელიც საჭირო იყო ისმაილის გრანდიოზული გეგმების და მის პირად საჭიროებათა დასაკმაყოფილებლად.

ისმაილმაც ამ ასეულ მილიონების საშოვნელად მიმართა მისი წინამოადგილეების მიერ ნაცად საშუალებას—ლონდონის და პარიზის ბანკირებს, რომლებიც არაჩვეულებრივად გულთბილად შეხვდნენ კრედიტების ამ მაძიებელს. მართალია, ფორმალურად ეგვიპტის ხედივს არ ჰქონდა უფლება არც პოლიტიკური და არც ეკონომიური ხელშეკრულებები დაედვა სხვა სახელმწიფოებთან სულთანის მთავრობის დაუკითხავად, მაგრამ ეგვიპტე ისეთ გემრიელ ლუკმას წარმოადგენდა იმპერიალისტებისათვის, განსაკუთრებით ინგლისისათვის, რომელსაც მოსვენება არ ჰქონდა, რაც მისი სურვილის წინააღმდეგ გაყვანილი იქნა სუეცის არხი—მეორე უფრო მოკლე და უკეთესი გზა ინდოეთისაკენ, რომ მათ არავითარი ანგარიში არ გაუწიეს. ეგვიპტის ამ ფორმალურ უუფლებობას, მით

---

*) ამ ზეიმის დროს პირველად დაიდგა ისმაილის დაკვეთით კომპოზიტორ ვერდის მიერ სპეციალურად დაწერილი ოპერა „აიდა“.

ეროვნული ბიბლიოთეკა

# ბის 50 წელი

უფრო, რომ თვით ოსმალეთს არავითარი შესაძლებლობა არ მოეპოვებოდა (გარდა ცარიელი პროტესტისა) თავისი უფლებების დასაცავად ეგვიპტეში. სულ მოკლე ხანში ისმაილმა ჯერ დიდი ვეზირის და შემდეგ თვით სულთანის მოსყიდვით ადვილად განითავისუფლა თავი ამ ფორმალური დამოკიდებულებისაგან და გაძლიერებული სიხარბით დაეწაფა. გოშენების და როტშილდების ოქროს ტომარას.

ან რატომ არ უნდა შეხვედროდნენ კულ თბილად ასეთ მოვალეს, რომელმაც ნასესხებ 686 მილიონ ოქროს მანეთიდან ნაღდად მიიღო მხოლოდ 430—440 მილიონი მანეთი, დანარჩენი თანხა კი საკომისიოს, პროცენტების და გარანტიის სახით დარჩა სხვადასხვა აფერისტებისა და აფერისტული „საფინანსო" ორგანიზაციების ხელში.

მაგრამ ყველაფერს აქვს თავისი დასასრული. როცა ჯერი მიდგა ნასესხები ფულების გადახდაზე, აღმოჩნდა, რომ ისმაილის სალარო ცარიელია.

ინგლისმა ისარგებლა ეგვიპტის ამ ფინანსიური დაბრკოლებებით და იძულებით თავს მოახვია თავისი ფინანსიური ზედამხედველობა. პირველ ყოვლისა, ინგლისმა ხელში ჩაიგდო ის 176.000 აქცია სუეცის არხისა, რომელიც უშუალოდ ისმაილს ეკუთვნოდა და ამრიგად მოიპოვა სუეცის არხზე თავისი კონტროლის გავრცელების უფლება. ამის შემდეგ მან ყველა ზომები მიიღო იმისათვის, რომ კიდევ უფრო შეერყია ეგვიპტის ფინანსიური მდგომარეობა, უფსკრულის პირას მიეყვანა იგი, რომ უფრო გაეადვილებია თავისი ექსპანსია ნილოსის მიდამოებში. ინგლისის მთავრობის კომისიამ (ფინანსთა მინისტრის კეივის მეთაურობით), რომელიც ძალით მოახვია თავს ეგვიპტეს ინგლისის მთავრობამ ყოველმხრივ გამოიკვლია ეგვიპტის ფინანსიური მდგომარეობა. ისმაილი ამ დამამცირებელ რევიზიაზე დასთანხმდა იმ მიზნით, რომ თავისი პოტენციალური კრედიტუნარიანობის დამტკიცებით გაეადვილებია ახალი სესხის მიღება ინგლისში. გამოკვლევას სასტიკად კონფიდენციალური ხასიათი უნდა ჰქონოდა და არ უნდა ყოფილიყო გამოქვეყნებული.

მაგრამ, როგორც კი კეივი დაბრუნდა ლონდონში, ინგლისის მთავრობამ პირდაპირ შანტაჟისტურად გამოიყენა მისი მოხსენება იმ მიზნით, რომ იძულებული გაეხადა ისმაილი ხელი აეღო ფრანგ ფინანსისტებთან მოლაპარაკებაზე. ინგლისის საგარეო საქმეთა მინისტრმა ლორდმა დარბიმ აცნობა ისმაილს, რომ „საზოგადოებრივი აზრის მოთხოვნის გამო იძულებულია გამოაქვეყნოს კეივის მოხსენება". ისმაილმა სასტიკი პროტესტი განაცხადა ამ ვერაგული განზრახვის წინააღმდეგ, რომელსაც სრულიად უნდა დაეცა ეგვიპტის ფინანსიური პრესტიჟი. ინგლისის პრემიერმა დიზრაელიმ თითქო ყურად იღო ხედივის პროტესტი, მაგრამ მხოლოდ იმ მიზნით, რომ სხვა გზით მიეღწია მიზნისათვის. პარლამენტში მიცემული შეკითხვის საპასუხოთ, თუ როდის იქნებოდა გამოქვეყნებული კეივის მოხსენება, დიზრაელიმ უპასუხა, რომ ხედივი მოხსენების გამოქვეყნების წინააღმდეგი არისო. ეს იყო ნიშანი იმის, რომ ეგვიპტის ეკონომიური მდგომარეობა კატასტროფიულია და ეგვიპტის მმართველი ამას მალავსო. იმ წამსვე



ინგლისის ფლოტი ყუმბარებს უშენს ალექსანდრიას.

ბირჟაზე დაიწყო ნამდვილი პანიკა და ეგვიპტის ფასიანი ქაღალდების კურსი კატასტროფიულად დაეცა.

მართალია, კეივის მოხსენება არც ისე ცუდად ახასიათებდა ეგვიპტის ფინანსიურ მდგომარეობას, მაგრამ დიზრაელის მიზანი მიღწეული იქნა. ისმაილი მაგრათ გაება ინგლისის ლომის ბრჭყალებში.

ეგვიპტეს დაეპატრონენ ევროპიელი ბანკირები. ყოველწლიურად გაძვალტყავებული, გაჭირვების უკიდურეს საზღვართან მისული ქვეყანა მარტო პროცენტების სახით იხდიდა ათეულ მილიონ ოქროს მანეთებს (1877 წლის 8 თვის განმავლობაში ეგვიპტემ პროცენტების სახით გადაიხადა 60 მილიონი ოქროს მანეთი). მოუმკალ პურს ჩალის ფასად იძენდენ სხვადასხვა სპეკულიანტები მოსახლეობისაგან, რომელიც ვერ ახერხებდა გადასახადების შეტანას, მოსამსახურეებს მთელი თვეების განმავლობაში არ აძლევდნენ ხელფასს. ამას ზედ დაემატა ის, რომ ნილოსმა 1878 წ. მოურწყავი დასტოვა 800.000 აკრი მიწა, შემდეგ გავრცელდა საქონლის ჭირი და ისედაც მშიერ მწყურვალი მოსახლეობა სულ წელში გაწყდა. 10.000 კაცი სიმშილისაგან მოკვდა, მრავალი ათასი მოკვდა დიზენტერიისაგან და სხვა ავადმყოფობისაგან. ბანკირებს კი განუწყვეტლივ მიჰქონდათ თავისი, მიუხედავად იმისა, რომ ისმაილი ემუდარებოდა მათ ცოტათი მაინც შეერბილებიათ ფინანსიური ოპეკა მაგრამ ამაოთ.



ალექსანდრიის ერთ-ერთი ფორტი და შუქურა დანგრეული ინგლისის ფლოტისმიერ



კახეთი: მირზაანის სარეწაოებში გაცხოველებული მუშაობა მიმდინარეობს. ჭაბურღილი № 1 მაისიდან გადაცემულია საექსპლოატაციოდ. ამჟამად მიმდინარეობს ღრმა მქაჩავების დადგმა. სარეწაოებთან მოწყობილია 600 მუშის ოჯახისათვის საცხოვრებელი ბინები. მოწყობილია რ ბარაკი, ბიბლიოთეკა, სასადილო, საბავშო ბაგა და სხვ.
სურათზე: მარც. მარჯვნ. 1. ამხ. ანისიმოვის დამკვრელი ბრიგადა ჭაბურღილის დადგმის დროს; 2. სარეწაოების საერთო ხედი და 3. ბავშვები ბაგაში.

მოსახლეობის მოთმინების ფიალა აივსო ალელდა ეგვიპტის ოფიცრობა და ისმაილიც ამ განწყობილების ზეგავლენით იძულებული შეიქნა გაეუქმებია ეს კონტროლი. მაგრამ გვიან იყო. ბანკირებმა ამაზე უპასუხეს ისმაილის დამხობით და თავიანთი კონტროლიორების უფლებების აღდგენით კიდევ უფრო გაფართოებული სახით.

ისმაილის სუსტნებისყოფიან და მშიშარა შვილის ტევფიკ-ფაშის „მმართველობის" დროს კრედიტორების თარეშმა ეგვიპტეში კიდევ უფრო ფართო ხასიათი მიიღო. ამიტომ გასაკვირი არ არის, რომ ახალმა ამბოხებამ არ დააყოვნა. მის სათავეში ჩადგა პოლკოვნიკი ახმედ არაბი, წარმოშობით ფელლახი, რომელმაც სულ მოკლე ხანში შესძლო მნიშვნელოვანი ძალების შემოკრება თავის გარშემო.

1881 წ. თებერვალში არაბიმ დაამხო ბანკირების მიერ შედგენილი ეგვიპტის მთავრობა და შექმნა ნიადაგი ეგვიპტის განთავისუფლებისათვის იმპერიალიზმის მონობისაგან.

მართალია, მთავრობას, რომელიც ამ უსისხლო რევოლიუციის შედეგათ მოეწყო (მასში არაბი შევიდა, როგორც სამხედრო მინისტრი), არავითარი ზომები არ მიუღია უცხოელების მიერ თავზე მოხვეულ რეჟიმის ლიკვიდაციისათვის, მაგრამ ევროპის ბანკირებმა სერიოზული საფრთხე დაინახეს თავისი ბატონობისათვის იმ კონსტიტუციონურ რეფორმებში, რომელსაც ახალი მთავრობა ატარებდა, არმიის გაწმენდაში ანტინაციონალურად განწყობილ ოფიცრებიდან და არმიის გაძლიერებაში. ამიტომ მათ ყველა ფარული და აშკარა საშუალებები გამოიყენეს იმისათვის, რომ დაემხოთ ეგვიპტის ნაციონალური მთავრობა.

როცა არავითარმა ღონისძიებამ არ გასჭრა ჭათ გადასწყვიტეს შეიარაღებულ ოკუპაციისათვის და შეუდგნენ მისთვის ნიადაგის მზადებას. ინგლის-ეგვიპტის ფლოტი უკვე ეგვიპტის სანაპიროებთან იყო. სულ პატარა საბაბი და პირობები ოკუპაციისათვის მომზადებული იქნებოდა. ანგლოფილურად განწყობილმა ხედივმა ტევფიკ-ფაშამ გადასწყვიტა ეს საბაბი მიეცა ინგლისელებისათვის. მისი წინადადებით ალექსანდრიის გუბერნატორმა დაქირავებულ ხულიგნების საშუალებით ევროპიელების რბევა მოაწყო. მაგრამ ავსტრიისა და გერმანიის კონსულების ჩარევამ პროვოკატორების ეს სისხლიანი თამაში ჩაშალა.



ბრძოლა ალექსანდრიის ქუჩებში

მიუხედავად ამისა ინგლისს მაინც არ აუღია ხელი ინტერვენციის გეგმებზე.

1882 წ. ივნისში ინგლისმა ისარგებლა ალექსანდრიის ფორტების რემონტით, რომელიც „მტრულ აქტათ" გამოაცხადა და ინგლისის ფლოტის სარდალმა ადმირალმა სეიმიერმა ალექსანდრიას ზარბაზნები დაუშინა. ამავე დროს გადმოსხმულ იქნა უკვე წინასწარ მომზადებული დესანტი და დაიწყო სამხედრო ოპერაციები ეგვიპტის ჯარების წინააღმდეგ, ასე მოხდა ეგვიპტის ოკუპაცია, რომელიც ფაქტიურად მსოფლიო ომის შედეგად დამთავრდა ეგვიპტის სრული დაპყრობით ინგლისის მიერ.

როგორია ინგლისის 50 წ. ბატონობის შედეგები ეგვიპტეში?

ინგლისის იმპერიალიზმი ძველი ვალების ანგარიშში ყოველწლიურად ეგვიპტისაგან იღებს 40.000.000 ოქროს მან. ინგლისის სხვადასხვა სამრეწველო-ფინანსიური დაწესებულებები ტყავს აძრობენ ადგილობრივ მოსახლეობას და ზღაპრულ დივიდენდებს არიგებენ მისი ექსპლოატაციის ხარჯზე.

მსოფლიო ეკონომიური კრიზისის წყალობით ეგვიპტის მშრომელთა მდგომარეობა აუტანელია. ბამბის ფასები დაეცა ომის წინადროინდელ ფასების 58 პროცენტამდე, საკვებ პროდუქტების ფასები კი ომის წინადროინდელის 130 პროც. შეადგენს, ოფიციალური გამოკვლევებიც კი იძულებული არიან აღიარონ მშრომელი მასების აუტანელი გაჭირვება.

ძალადობის და ექსპლოატაციის რეჟიმი კი გრძელდება.

ყველაფერ ამის შესახებ კი ინგლისის პრესა კრინტსაც არ სძრავს ალექსანდრიის უმიზნოთ დანგრევის 50 წ. თავზე. მით უფრო არაფერს ამბობს ის განმათავისუფლებელი მოძრაობის იმ მძლავრ აზვირთებაზე, რომლითაც ეგვიპტის მშრომელი მასები უპასუხებენ „მშობლიურ" და უცხოელ მჩაგვრელების ყვლეფაზე და შევიწროებაზე.

გაზ. „კომუნისტი"-ს სტამბა, ტფილისი, კამოს ქ., № 68 მთავლიტი 1867. ტირაჟი 6000.

# საბჭოთა

ეროვნული ბიბლიოთეკა









საბჭოთა ფიზკულტურა, რომელიც დაუპირისპირდა ბურჟუაზიულ სპორტს, დღითი-დღე იზრდება და შედის მუშათა ყოფა-ცხოვრებაში, როგორც გამაჯანსაღებელი საშუალება და კულტურული დასვენება. თუ უწინ ჩვენში სპორტი შეძლებული, გაბატონებული კლასების პრივილეგიას წარმოადგენდა და ამჟამად ბურჟუაზიულ ქვეყნებში ის არის კლასიური ჩაგვრის იარაღი, საბჭოთა კავშირში საბჭოთა ფიზკულტურა ემსახურება მშრომელი მასების გაჯანსაღებას, ხელს უწყობს შრომის ნაყოფიერების ზრდას და ქვეყნის თავდაცვის უნარიანობის განმტკიცებას.

„იყავ მზად შრომისა და თავდაცვისათვის"—ამ ლოზუნგის ქვეშ სწარმოებს ამჟამად ფიზკულტურული მუშაობა საბჭოთა კავშირში. ფიზკულტურის უმაღლესი საბჭოს მიერ შემუშავებულია ნორმები, რომელთა ჩაბარება უფლებას აძლევს ფიზკულტუროსანს სპეციალურ ნიშნის ტარებაზე: „იყავ მზად შრომისა და თავდაცვისათვის". ამ ნიშნის სახელწოდებიდან ცხადი ხდება, რომ ფიზკულტუროსნის მომზადება უნდა შეიცავდეს შრომის და თავდაცვის ელემენტებს. ჩვენ გვჭირია ჯანსაღი და გაწვრთნილი ახალგაზრდობა.

პირველ სურათზე ნაჩვენებია ხტომა სიმაღლეზე გამორბენით. სურათი გადაღებულია „დინამოს" სავარჯიშო ბაქანზე. აღნიშნულ საზოგადოებაში სწარმოებს მუშაობა ფიზკულტურის ყველა დარგებში. განსაკუთრებით აღსანიშნავია დინამოს მძლეოსნები, რომელთაც ბრწყინვალე მიღწევები აქვთ რბენაში, ხტომაში, ბადროს ტყორცნაში, ბირთვის კვრაში და სხვა.

მეორე სურათზე ნაჩვენები მუხრანის ცხენთსაშენის კვიცი „ერეთი", რომელმაც გაიმარჯვა დოღში. ცხენოსნობის განვითარება და წითელი ომისათვის მომზადებული კადრების მიწოდება აგრეთვე არის ფიზკულტურის ერთ-ერთი ამოცანა.

ფრენ-ბურთის ერთი მომენტი ნაჩვენებია მესამე სურათზე. ეს თამაში მეტად ცხოველ ინტერესს იწვევს, ანვითარებს მოვარჯიშეს ფიზიკურად, ამახვილებს მის ყურადღებას, სწრაფ მოსაზრებას, შეთანხმებას ამხანაგებთან და სხვ. ეს თამაში ფართოდ ვრცელდება წარმოებებში და სკოლებში და უნდა ჩაითვალოს კულტურულ დასვენების ერთ-ერთ საუკეთესო საშუალებათ.

მეოთხე სურათი გადაღებულია „დინამოს" ბაქანზე, საიდანაც ნათლად სჩანს, რომ საბჭოთა ფიზკულტუროსნები თანდათან ეუფლებიან მძლეოსნობის ტექნიკას, სურათზე აღებულია მომენტი, როცა მორბენალი მოსწყდა ადგილიდან და მთელი ენერგიის დაჭიმვით მიექანება ფინიშისაკენ. ტანის მდგომარეობა მოწმობს, რომ რბენის ტექნიკა სათანადო სიმაღლეზე სდგას „დინამოელთა" შორის.

# ფიზკულტურა

